პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 101 (9877) | ხუთშაბათი, 29 აპრილი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

საბჭოთა კავშირის მშრომელებო! იბრძოლეთ, რათა ახალი წარმატებანი მოიპოვოთ სოციალისტურ შეჯიბრებაში ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის! გავაჩაღოთ ფართო სახალხო მოძრაობა შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის! [illegible] მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და საბჭოთა ხალხის [illegible] ბის ზრდის საფუძვლისათვის!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან.

დიადი კომუნისტური მშენებლობის ახალი გამარჯვებებისაკენ!

გუშინ მუშაობა დაამთავრა სსრ კავშირის მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველმა სესიამ. ხალხის რჩეულებმა — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა დიდი აქტივობით განიხილეს მთელი რიგი პირველხარისხოვანი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხები. სესიაზე პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა გამოსვლებში, ყველა გამოსული დეპუტატის სიტყვებში შეჯამებული იყო ამ უდიდესი შემოქმედებითი მუშაობის შედეგები, რომელიც საბჭოთა ხალხმა განახორციელა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, განსაზღვრული იყო სამეურნეო და კულტურული შენებლობის მრავალი ამოცანები, მხილებულ იქნა სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების მუშაობის ნაკლოვანებანი, გამოვლინდა უდიდესი რეზერვები, რომლებიც შეიძლება ავამოქმედოთ და კიდევაც უნდა ავამოქმედოთ ხალხის საკეთილდღეოდ, ძლევამოსილი კომუნისტური მშენებლობის ინტერესებისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა სსრ კავშირის 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი. 1950 წელთან — მეოთხე ხუთწლედის უკანასკნელ წელთან შედარებით სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი გაიზრდება 149 მილიარდი მანეთით და ერთიანსამად ეა უფრო მეტად გადაჭარბებს ომამდელი 1940 წლის ბიუჯეტის შემოსავალს. 1950 წელთან შედარებით 57 პროცენტით გადიდდება ასიგნებანი სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის — ისინი მიაღწევენ თითქმის 327 მილიარდ მანეთს. კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა მძიმე მრეწველობაში, რომელიც ჩვენი ეკონომიკის საფუძველთა საფუძველია, 1954 წელ განსაზღვრულია 90 მილიარდ მანეთზე მეტი ოდენობით, რაც ნიშნავს თითქმის 10 მილიარდი მანეთით გადიდებას შარშანდელთან შედარებით. მოსახლეობის სოციალურ-კულტურულ მოთხოვნილებათა — განათლების, ჯანმრთელობის დაცვის და სხვ. დასაფინანსებლად 1954 წელს დაიხარჯება 141 მილიარდ მანეთზე მეტი, თითქმის იმდენივე, რამდენსაც 1939 წელს შეადგენდა სახელმწიფო ბიუჯეტის მთელი განათლის ნაწილი. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახული იმ ამოცანის შესაბამისად, რომ მიღწეულ იქნას სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობა, 1954 წელს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ასიგნებულია 74,4 მილიარდი მანეთი, 42,4 პროცენტით მეტი, ვიდრე შარშან.

ამრიგად, სსრ კავშირის 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა, ჩვენი ქვეყნის მძლავრი ეკონომიური აღმავლობის მკაფიო მაჩვენებელია. იგი კვლავ და კვლავ თვალნათლივ მოწმობს, რომ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საშინაო პოლიტიკის მიზანი მუდამ ის არის, რომ კვლავაც განვამტკიცებდეთ სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერებას, მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის ურღვევ კავშირს, სსრ კავშირის ხალხთა დიად მეგობრობას, ყოველი ღონისძიებით ვავითარებდეთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკასა და კულტურას, დაუცხრომლად განვამტკიცებდეთ საბჭოთა კავშირის თავდაცვას, უზრუნველყოფდეთ ხალხის კეთილდღეობის შემდგომ სწრაფ გაუმჯობესებას.

საბჭოთა კავშირის ეკონომიკის განვითარებაში დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება 1954 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის დავალებათა შესრულება. ფოლადის გამოდნობა წელს წინა ხუთწლედის უკანასკნელ წელთან შედარებით უნდა გადიდდეს 51 პროცენტით, ქვანახშირის ამოღება — 33 პროცენტით, ელექტროენერგიის გამომუშავება — 63 პროცენტით, მანქანებისა და მოწყობილობის წარმოება — 90 პროცენტით, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება — 60 პროცენტით და მეტით, საქონელბრუნვა — 75 პროცენტით. ამრიგად, მიღწეული იქნება ახალი შესანიშნავი წარმატებანი მძიმე ინდუსტრიის განვითარებაში, ხოლო სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და საქონელბრუნვის მეხუთე ხუთწლედის დავალებანი შესრულდება ვადამდე, ოთხ წელიწადში.

საბჭოთა ხალხი დიდი ენერგიით შეუდგა ამ ღონისძიებათა განხორციელებას, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ დასახეს სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის. ნახევარ მილიონზე მეტმა საბჭოთა პატრიოტმა ითხოვა გაეგზავნათ სამუშაოდ ყამირი და ნახევნი მიწები ასათვისებლად. 80 ათასზე მეტი აგრონომი, ინჟინერი, მექანიზატორი და სხვა მუშაკი გაიგზავნა ამ საპატიო და პასუხსაგებ უბანზე. ეს ფაქტი კვლავ და კვლავ მოწმობს ჩვენი ხალხის მძლავრ მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას, მის მტკიცე გადაწყვეტილებას — არ დაიშუროს ძალები და შრომა კომუნიზმის აშენების დიადი საქმისათვის.

უმაღლესი საბჭოს სხდომებზე მხილებულ იქნა სერიოზული ნაკლოვანებანი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის მთელ რიგ დარგებში. კერძოდ, აღინიშნა, რომ ცალკეულმა სამინისტროებმა — შავი მეტალურგიის, ნავთობის მრეწველობის, სატრანსპორტო და მძიმე მანქანათმშენებლობის, სატყეო მრეწველობისა და ზოგიერთმა სხვა სამინისტროებმა — ვერ შეასრულეს მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან სახეობათა პროდუქციის წარმოების დარგში. ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის არათანაბრობა, არარიტმულობა, ტექნოლოგიური დისციპლინის დარღვევები ბევრი სამრეწველო საწარმოს მუშაობაში.

უმაღლესი საბჭოს სესიაზე განსაკუთრებული სიმწვავით დაისვა შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდების საკითხი. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობას ყველაფერი მოეპოვება, რაც კი საჭიროა შრომის ნაყოფიერების უფრო სწრაფი გადიდების უზრუნველსაყოფად. მაშასადამე, საქმე ის არის, რომ მაქსიმალური ეფექტით გამოვიყენოთ ყველა ეს შესაძლებლობა — ყოველი ღონისძიებით გავაუმჯობესოთ წარმოების ტექნიკა და ორგანიზაცია, მტკიცედ დავნერგოთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, უფრო ფართოდ განვახორციელოთ კომპლექსური მექანიზაცია, უკეთ გამოვიყენოთ არსებული ხანარმოო ფართობები, მანქანებისა და მოწყობილობის პარკი, სახტაკად დავიცვათ ტექნოლოგიური დისციპლინა, ყოველი ღონისძიებით გავაუმჯობესოთ პროდუქციის ხარისხი.

სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს საწარმოებისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას, ამ ხელმძღვანელობის კონკრეტულობასა და საგნობრივობას, იმას, რომ ხელმძღვანელებმა ზედმიწევნით იცოდნენ საქმის წვრილმანები. განუწყვეტლივ იზრდება მოთხოვნები სახელმწიფო აპარატისადმი. ისინი განისაზღვრება იმ პრინციპებით, რომლებიც ვ. ი. ლენინს მიაჩნდა საფუძვლად საბჭოთა სახელმწიფო აპარატისათვის. ეს პრინციპებია კავშირი ხალხის ფართო მასებთან, ეკონომიურობა, შემოქმედებითი ინიციატივის წახალისება, ბრძოლა ბიუროკრატიზმის ყოველგვარი ფორმისა და გამოვლინების წინააღმდეგ. ხელმძღვანელობს რა ამ პრინციპებით, საბჭოთა მთავრობა დაუცხრომლად მუშაობს სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებლად იმ ახალი ამოცანების გათვალისწინებით, რომლებიც მის წინაშე ისახება სახალხო მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის დარგში.

სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ზოგიერთი სამინისტროს დაყოფის შესახებ. ეს დაყოფა გამოწვეულია იმით, რომ, როგორც გამოცდილებამ ცხადყო, მსხვილ სამინისტროებს, რომლებიც აერთიანებენ სახალხო მეურნეობის ბევრ დარგს და დიდძალ სხვადასხვა საწარმოს, უძნელდებათ ამ საწარმოებისადმი ოპერატიული ხელმძღვანელობის განხორციელება. თავისთავად იგულისხმება, რომ სამინისტროთა დაყოფისას უზრუნველყოფილ უნდა იქნას იმ გეზის მტკიცედ განხორციელება, რომ შემდგომ შემცირდეს სახელმწიფო აპარატის შენახვის ხარჯები. საჭიროა გადაჭრით შემცირდეს მიწერ-მოწერა, გაბერილი ანგარიშები, ულმობლად აღმოიფხვრას ბიუროკრატიზმი, ხელმძღვანელობის კანცელარიული სტილი, გაძლიერდეს ყველა მუშაკის, დიდიდან პატარამდე, პასუხისმგებლობა სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულებისათვის. მხოლოდ ამ პირობით იქნება მიღწეული სახელმწიფო აპარატის შემდგომი გაუმჯობესება, და იგი შეძლებს ნაკლები ადამიანებით უკეთ გაუძღვეს მუშაობას წარმოების ორგანიზაციის დარგში.

სახელმწიფო აპარატის შემდგომი შემცირების ამოცანა მომჭირნეობის უსასტიკესი რეჟიმის განუხრელი თანმიმდევრული დაცვის უმნიშვნელოვანესი საყოველთაო-სახალხო ამოცანის ნაწილია. ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტი ითვალისწინებს მრავალი მილიარდის ასიგნებას სამეურნეო და კულტურული მშენებლობისათვის. უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა სიტყვებში განსაკუთრებით აღინიშნა, რომ ეს სახსრები უნდა დაიხარჯოს ყაირათიანად, რომ უნდა გავუფრთხილდეთ ხალხის თვითეულ მანეთს, თვითეულ კაპიკს.

უმაღლესმა საბჭომ ერთსულოვნად მოიწონა საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკა. დიდ ჩინელ ხალხთან ერთად, სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნის მშრომელებთან ერთად საბჭოთა კავშირი მუდამ და თანმიმდევრულად იბრძვის მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, და ამ პოლიტიკამ მოუხვეჭა მას ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის დიდი ნდობა. მაგრამ ის, რასაც იწონებენ და მხარს უჭერენ ყველა ქვეყნის მილიონობით ადამიანები, გაბოროტებასა და ღვარძლს იწვევს აგრესიულ იმპერიალისტურ წრეებში, რომლებიც ცდილობენ ხელი შეუშალონ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, გამოდიან უაზრო და სულელური მუქარით სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მიმართ. დროა შეიგნონ ამ ვაუბატონებმა, რომ ჩვენი დაშინება არ შეიძლება! მაგრამ თუ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა აგრესიული წრეები, ატომური იარაღის იმედით, გაბედავენ გამოსცადონ საბჭოთა კავშირის ძალა და ძლიერება, შეიძლება ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ აგრესორი დაითრგუნება იმავე იარაღით და რომ ამგვარი ავანტიურა გარდუვალად გამოიწვევს მთელი კაპიტალისტური სისტემის კრახს.

სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება რუსეთის სფსრ შემადგენლობიდან უკრაინის სსრ შემადგენლობაში ყირიმის ოლქის გადაცემის შესახებ. ეს აქტი, რომელიც მოხდა იმ დღეებში, როცა ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი აღფრთოვანებით აღნიშნავს რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავს, კვლავ და კვლავ მოწმობს რუსი და უკრაინელი ხალხების დიდ და ურღვევ მეგობრობას, ჩვენს საბჭოთა სამშობლოში მოსახლე ყველა სოციალისტური ერის მეგობრობას, მათს ურთიერთ ნდობასა და პატივისცემას.

სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ განსაკუთრებული ერთსულოვნებით აირჩია უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მიიღო გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირის მთავრობის — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შექმნის შესახებ. ეს იყო იმის მკაფიო დემონსტრაცია, რომ მთელი ხალხი იწონებს და მხარს უჭერს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნულ საშინაო და საგარეო პოლიტიკას, დემონსტრაცია პარტიის, მთავრობისა და მთელი საბჭოთა ხალხის დიდი და ურღვევი ერთიანობისა.

სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიღებული გადაწყვეტილებებით გამოხატა ხალხის ნება. ეჭვი არ არის, რომ ამ გადაწყვეტილებებს ერთსულოვნად მოიწონებს ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი, რომ ეს გადაწყვეტილებები გამოიწვევენ ახალ მძლავრ პოლიტიკურ და შრომითს აღმავლობას. სათავეში ჩაუდგება რა ამ მძლავრ შემოქმედებითს აღმავლობას, კომუნისტური პარტია გაუძღვება ჩვენს ქვეყანას წინ, დიადი კომუნისტური მშენებლობის ახალი, გადამწყვეტი გამარჯვებებისაკენ.

„პრავდის“ 28-IV მოწინავე.

სტახანოვურ ვახტზე. 1. თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური ქარხნის კონტროლიორი ოსტატები რ. აპრიკოვი და მ. ტოროშელიძე ამოწმებენ აქტინომეტრებს; 2. უფროსი კონტროლიორი-ოსტატი ბ. ბაზეკელავა ამოწმებს ჰიდრომეტეოროლოგიური ბზრიალების კომპლექტურობას.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

„ჯყიბულქვანახშირის“ ტრესტმა ოთხი თვის გეგმა შეასრულა

„ტყიბულქვანახშირის“ ტრესტმა ვადაზე 6 დღით ადრე შეასრულა ქვანახშირის ამოღების ოთხი თვის გეგმა. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ქვანახშირის ამოღება გადიდდა 13 პროცენტით, მეშახტეთა შრომის ნაყოფიერება ამავე პერიოდში 21 პროცენტით გაიზარდა. (საქდესი).

გამარჯვებული ბრიგადა

 კასპი. (საკ. კორ.). თესვის ამ გადამწყვეტ დღეებში წარმატებით იმუშავა კასპის მტს-ის მეორე სტრაქტორო ბრიგადამ, რომელსაც ზ. მამულაშვილი ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადამ გუშინ თავის მომსახურების კოლმეურნეობებში გადაჭარბებით შეასრულა საგაზაფხულო ხვნა-თესვის დავალება, 237 ჰექტარის ნაცვლად დათესა 318 ჰექტარი.

ბრიგადაში ყველას გაუსწრო ტრაქტორისტმა გ. მამულაშვილმა, რომელიც „ჟდ-35“ მარკის ტრაქტორზე მუშაობს. მან დავალება 138,8 პროცენტით გაანაღდა და გეგმის გადამეტებით კვადრატულ-ბუდობრივად დათესა 18 ჰექტარი სიმინდი.

ახლა კომკავშირელი ტრაქტორისტი გ. მამულაშვილი ეხმარება მეხუთე სატრაქტორო ბრიგადას, რომელიც ვენახების სამუშაოებში ჩამორჩენილია.

შეჯიბრებაში გამარჯვებული საბჭოთა მეურნეობები

ამ დღეებში მიღებულია ცნობა, რომ ოჩხამურის ჩაისა და მახინჯაურის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობებს 1953 წლის სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით მიენიჭა საკავშირო პრეზიდიუმსა და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების საშინისტროს გარდამავალი წითელი დროშები და გადაეცათ პირველი ფულადი პრემიები. ამ ცნობამ საბჭოთა მეურნეობებში შრომითი აქტივობის ახალი აღმავლობა გამოიწვია. ოჩხამურელებმა ვალდებულება იკისრეს წელს ჩაის მოსავლიანობა საშუალოდ ჰექტარზე აიყვანონ 5.500 კილოგრამამდე. მახინჯაურის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა წელს სახელმწიფოს ჩააბაროს 1 მილიონი ცალით მეტი ციტრუსი, ვიდრე გეგმით არის გათვალისწინებული, ჩაის პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე მოკრიფოს 5.500 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ყამირი მიწების ათვისების რაიონებში

26 აპრილს თბილისიდან ყარაგანდაში —ნასვენი და ყამირი მიწების ათვისების რაიონებში გაემგზავრა თბილისის მედიცინის მუშაკთა პირველი ჯგუფი — 30 ექიმი, ფერშალი და ფარმაცევტი.

მიმავალთა გასაცილებლად ვაგზალში შეიკრიბნენ ქალაქის მედიცინის მუშაკთა საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. გამართულ მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილემ ვ. გელაშვილმა, რომელმაც მედიცინის პატრიოტ მუშაკებს უსურვა წარმატებანი შრომაში საშობლოს საკეთილდღეოდ. მიმავალთა სახელით საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ფერშალმა რ. ჯაშმა. (საქდესი).

გაზაფხული მოსკოვში

მდინარე მოსკოვში ჩაიარა უკანასკნელმა ყინულებმა. დედაქალაქის უბეულებიდან და ნავსაყუდურებიდან მდინარეში გავიდნენ გემები.

დღითიდღე სულ უფრო თბილა. აშენდა ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკასთან ფერდობი, რომელიც გაზაფხულის მზიგულზეა. კლუბებში გამოჩნდა მრავალწლიანი ყვავილების ყლორტები. უნივერსიტეტის ბაღში ლენინის გორაზე სითბოსმოყვარულ მცენარეებს გაზდეს საზამთრო „ქურქები“. ასობით ხე, რომლებიც აქ იანვრის ყინვაში დაირგო, გამოღვიძების პირველ ნიშნებს იძლევა. გაჩაღდა მუშაობა ბულვარებსა და სკვერებში. მებაღეებმა შარშანდელი ფოთლებისაგან გაწმინდეს გაზონები, გულმოდგინედ გასხლეს ხეები, შეასწორეს ბუჩქნარები.

კიდევ უფრო ლამაზი გახდება დედაქალაქის მწვანე სამოსი. ყუჩებში, მოედნებზე, სკვერებში, ბულვარებზე დაირგვება 200 ათასამდე ხე. მოსკოვში ამწვანების სამუშაოებისათვის წელს გამოყოფილია 28 მილიონი მანეთი.

მოსკოვის საბჭოს აღმასკომის გამწვანების სამმართველოს მუშაკებთან ერთად საქმეს შეუდგა საზოგადოებრიობა. მოსკოველები მხურვალედ გამოეხმაურნენ სუშჩევსკი ვალის, № 14-20 სახლის მცხოვრებთა მოწოდებას, რომლებმაც წინადადება შეიტანეს თვითეულ ეზოში შეიქმნას აყვავებული ბაღი.

ქალაქში ბევრი ბაღია, რომლებიც მშრომელებმა სახლთსამმართველოების მუშაკებთან ერთად შექმნეს. მზრუნველობით უფლიან თავიანთ ბაღს ჩკალოვის ქუჩის № 35 სახლის მცხოვრებნი. გავა ცოტა ხანი და მათს ეზოში აყვავდება ვაშლი და ალუბალი, ღია ფანჯრებში შევა შოთხვისა და იასამნის სუნი.

ამ გაზაფხულზე სახლთა ეზოებში ამწვანდება კიდევ ათასობით ხე და ბუჩქი. ასი დიდი ეზოს ტერიტორიაზე გაშენდება სკვერები. ფერადი ხალიჩებივით გადაიმლება ქალაქში ყვავილნარები.

გაზაფხული დაუდგათ გზის მუშაკებსაც. ისინი ქუჩებში აგებენ ასფალტს, არემონტებენ ტროტუარებს, გაჰყავთ ტროლეიბუსისა და ტრამვაის ახალი ხაზები. თითქმის ყველა ქუჩაში იღებება განათების ანძები, ბაღჩებისა და ღობეების რიკულები. ყვიშასჰავლიანი აპარატებით იწმინდება მდინარე მოსკოვის სანაპიროების კედლები.

გახსნილათვის ემზადებიან დედაქალაქის პარკები. მ. გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში შენდება ახალი შესასვლელი. მას ეშენება მრავალსვეტიანი პორტალი და გვერდითი ფრთები — პავილიონები, ჩამწკრივებული ლამაზ ნახევარრკალებად. შესასვლელის წინ ფართოვდება მოედანი. პარკის ტერიტორიაზე მთავრდება გოლიტინის გუბურის რეკონსტრუქცია. წყალსაცავი მოქცეულია ბეტონში. მის ფსკერზე დაყრილია ქვიშა. ახლა ეკეთება ორი გრანიტის მოედანი, რომლებზეც მოეწყობა ნავების მისადგომები.

სოკოლნიკის კულტურისა და დასვენების პარკში გაჩაღებულია მუშაობა ოლენისა და პუტიაევის გუბურების კეთილმოსაწყობად, რომლებიც წარმოადგენენ ერთ სისტემად გაერთიანებული წყალსატევების თავისებურ კასკადს.

დაიწყო მუშაობა მდინარე მოსკოვზე ნავების მისადგომების, პლაჟებისა და საბანაოების შესაქმნელად. მათთვის მზადდება მოწყობილობა და ინვენტარი.

მოსკოვში ფართო ფრონტით მიმდინარეობს ახალი შენობების მშენებლობა. ქალაქში თითქმის არ არის ისეთი ქუჩა, სადაც არ შენდებოდეს ახალი სკოლების, საავადმყოფოების, საცხოვრებელი სახლების კორპუსები.

სოციალისტური შეჯიბრების ახალი აღმავლობისათვის

მეოთხედი საუკუნის წინათ, 1929 წლის 29 აპრილს ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტიის XVI კონფერენციამ, რომელმაც მიიღო პირველი ისტორიული ხუთწლიანი გეგმა, სსრ კავშირის მუშებსა და მთელ მშრომელ გლეხობას მიმართა მოწოდებით სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის გამლის შესახებ.

ეს იყო უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტი, რომელმაც მხურვალე გამოხმაურება და მხარდაჭერა ჰპოვა მთელ საბჭოთა ხალხში, საფუძველი ჩაუყარა სოციალისტური შეჯიბრების გადაქცევას ნამდვილ საყოველთაო-სახალხო მოძრაობად და მის გადაზრდას განვითარების უმაღლეს ფორმაში — სტახანოვურ მოძრაობაში.

პირველი ომამდელი ხუთწლიანი გეგმით, რომელიც XVI პარტკონფერენციამ მიიღო, გათვალისწინებული იყო ინდუსტრიული მშენებლობის მანამდე გაუგონარი, გიგანტური პროგრამის შესრულება, ხოლო ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულების გარანტიად აღიარებული იყო შრომის კომუნისტური მეთოდის — სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, მუშობის ყველა უბანზე.

მეთექვსმეტე პარტიული კონფერენციის შემდგომს პერიოდში ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ბრძნული პოლიტიკის შედეგად, რომელიც განხორციელდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, ლენინის საქმის დიდი განმგრძობის ი. ბ. სტალინის მეთაურობით, შეიქმნა იმის შესაძლებლობა, რომ ახლა ხელი მივყოთ მსუბუქი და კვების მრეწველობის სწრაფი ტემპით განვითარებას, მთელი ძალები წარვმართოთ სოფლის მეურნეობის, როგორც მსუბუქი და კვების მრეწველობის მასაზრდოებელი წყაროს შემდგომი აღმავლობის საკითხებისაკენ.

დიდი ლენინი მიგვითითებდა, რომ სოციალიზმის ერთადერთი საფუძველი შეიძლება იყოს მსხვილი სამანქანო მრეწველობა, რომელსაც ძალუძს მიწათმოქმედების გარდაქმნაც. პარტია მუდამ ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს ლენინის ამ მითითებით. პარტიამ მიაღწია მძიმე მრეწველობის უდიდეს განვითარებას და კვლავაც დაუცხრომლად ზრუნავს მსხვილი სამანქანო მრეწველობის — სოციალისტური ეკონომიკის ამ საფუძველთა საფუძვლის შემდგომი განუხრელი აღმავლობისათვის. მასების თავისუფალი შემოქმედებითი შრომის ახალმა ფორმამ—სოციალისტურმა შეჯიბრებამ გაუადვილა პარტიას წინსვლის ამ გზაზე უამრავ სიძნელეთა დაძლევა, როგორც ომამდელ და ომისშემდგომ ხუთწლედებში, ისე ომის მძიმე წლებშიც.

სოციალისტური შეჯიბრების და სტახანოვური მოძრაობის მდიდარ გამოცდილებას უდიდესი წარმატებით იყენებენ სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, სადაც სახალხო მეურნეობის განვითარება გიგანტური ნაბიჯებით მიდის წინ, იფურჩქნება ხელოვნება, მეცნიერება, კულტურა, განუხრელად უმჯობესდება ხალხის კეთილდღეობა.

ამავე დროს კაპიტალის ქვეყნებში, სადაც შრომა ექსპლოატაციის ხუნდებშია, სახალხო მეურნეობა და კულტურა დეგრადაციას განიცდის. თანდათან უარესდება ხალხის ცხოვრების მატერიალური პირობები, იკვეცება წარმოება, იზრდება უმუშევრობა და მხეცური კონკურენციისა და ახალი მტაცებლური ომებისათვის მზადების, გამალებული შეიარაღების ვითარებაში თანდათან უფრო მკაფიოდ ისახება მოახლოებული ეკონომიური კრიზისის შავი აჩრდილი.

სოციალისტური შეჯიბრების — უბრალო ადამიანების, რიგითი მუშაკების თავისუფალი შემოქმედებითი შრომის ცხოველმყოფელი ძალის შესანიშნავ დემონსტრაციას წარმოადგენს საბჭოთა საქართველოს ეკონომიკის დღეევანდელი მდგომარეობა.

ჩვენს რესპუბლიკაში ამჟამად 1.100-ზე მეტი მსხვილი ინდუსტრიული საწარმოა და იქ მომუშავეთა 93 პროცენტზე მეტი ჩაბმულია სოციალისტურ შეჯიბრებაში. საქართველო ახლა მოწინავე ინდუსტრიული ქვეყანაა, უაღრესად განვითარებული სოფლის მეურნეობითა და ტრანსპორტით.

გასული 1953 წლის გეგმა საქართველოს სს რესპუბლიკის მრეწველობამ 101 პროცენტით შეასრულა და წინა 1952 წლის დონეს თითქმის 12 პროცენტით გადაჭარბა. შარშან საგრძნობი რაოდენობით მოგვცეს ჩვენი საწარმოების კოლექტივებმა ზეგეგმიური პროდუქცია — მარგანეცის მადანი, ნავთობი, ცემენტი, დახერხილი ხე-ტყის მასალა, ლითონდასამუშავებელი ჩარხები, კულტივატორები, შალის ქსოვილები, ღვინო, ჩაი, მაკარონი, მრავალი სახელწოდების სხვა სასურსათო და სამრეწველო საქონელი.

შარშან საკოლმეურნეო სოფლის მუშაკებმა 1953 წლის მოსავლისათვის ნათესი ფართობი გაადიდეს 3 პროცენტით, ტექნიკური კულტურების ნათესი ფართობი — 17 პროცენტით და გადაჭარბებით შეასრულეს 1954 წლის მოსავლისათვის საშემოდგომო მარცვლეულის თესვის გეგმა. გასულ წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გაცილებით მეტი პროდუქტები ჩააბარეს სახელმწიფოს, ვიდრე წინა წლებში აბარებდნენ.

კიდევ უკეთესი მაჩვენებლებით ხასიათდება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყოველი დარგის მუშაობა მიმდინარე წლის განვლილ თვეებში. განუხრელი აღმავლობაა მეტალურგიულ საწარმოებში, სამთამადნო მრეწველობაში, მშენებლობებზე, ტრანსპორტზე, საქონელბრუნვის დარგში.

სსრ კავშირის მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველმა სესიამ, აგრეთვე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საპირველმაისო მოწოდებებში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს პარტიისა და მთავრობის მიერ საბჭოთა ხალხის წინაშე დასახული კომუნისტური მშენებლობის დიადი პროგრამის შესრულების უზრუნველსაყოფად სოციალისტური შეჯიბრების ახალი ძალით გაჩაღების საჭიროებას.

პარტია და მთავრობა საბჭოთა ადამიანებს მოუწოდებენ უფრო ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, საწარმოო ფართობებისა და მოწყობილობის სრულად გამოყენებისათვის, სახალხო მეურნეობის შინაგანი რეზერვების გამოვლინებისათვის, მოწინავე გამოცდილების განზოგადებისათვის. საკოლმეურნეო სოფლის მშრომელების ამოცანად დასახულია — სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებით მიაღწიონ ახალ, მძლავრ აღმავლობას, შექმნან უახლოესი 2-3 წლის განმავლობაში მოსახლეობისათვის სასურსათო პროდუქტების, ხოლო მრეწველობისათვის — ნედლეულის სიუხვე, აამაღლონ მტს-ებში არსებული სამანქანო ტექნიკის გამოყენების დონე, იბრძოლონ ნათესების გაფართოებისათვის, პირუტყვის სულადობის ზრდისა და პროდუქტიულობის ამაღლებისათვის.

ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად მასების დარაზმვაში მთავარი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური შეჯიბრების უნარიანად ხელმძღვანელობას, შეჯიბრების საჯაროობის უზრუნველყოფას. ეს საქმე პროფკავშირული ორგანიზაციების ღვიძლი, პატრიოტული ღირსების საქმეა. ისინი მოწოდებული არიან ენერგიულად ჩაუდგნენ სათავეში მასების შემოქმედებითს აქტივობას, პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანების გადაჭრისაკენ. წარმართონ შეჯიბრების მონაწილეთა მთელი ძალღონე და გულისყური. სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებისათვის დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს. მათი ვალია ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ პროფკავშირულ მუშაკებს სოციალისტური შეჯიბრების მოწყობაში.

მაღლა ავწიოთ სოციალისტური შეჯიბრების დროშა პარტიისა და მთავრობის მიერ საბჭოთა ხალხის წინაშე დასახული კომუნისტური მშენებლობის დიადი პროგრამის გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლაში!

ჩაის ფოთლის შერჩევითი კრეფა

წულუკიძე. („კომუნისტი“ კორ.). მზიანმა ამინდმა დააჩქარა ჩაის ბუჩქების ვეგეტაცია. 26 აპრილს წულუკიძის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში დაიწყო ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის შერჩევითი კრეფა.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ წალენჯიხის რაიონის სოფელ ოგუჯის ბიბლიოთეკისათვის ლეო ქიაჩელის სახელის მიკუთვნების შესახებ

მწერალ ლეო ქიაჩელის (ლ. მ. შენგელაია) დაბადებიდან 70 წლის შესრულებასთან დაკავშირებით მიეკუთვნოს საქართველოს სსრ წალენჯიხის რაიონის სოფელ ობუჯის ბიბლიოთეკას ლეო ქიაჩელის სახელი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ძვლიშვილი.

ქ. თბილისი. 1954 წ. 15 აპრილი.

სოციალისტური შეჯიბრების გზით — ახალი წარმატებებისაკენ!

> კომუნისტო და კომკავშირელო,
> შენი საქმენი ყოველგან ბრწყინავს,
> ქარხანაშიაც, კოლექტივშიაც
> გაიყოლიე მასები წინა.

მოწინავე საამქროს კომუნისტები

მესამე ამწყობი საამქრო მოწინავეა თბილისის კიროვის სახელობის ჩარხშენებელი ქარხნის საამქროთა შორის. აქ მთავრდება საჩარატო დაზგების დამზადების საწარმოო ციკლი და პროდუქცია სრულ ფორმას, საბოლოო სახეს იღებს. საამქროს კოლექტივმა მარტში გეგმის გადამეტებით მრავალი ჩარხი აწყო და თვიური საწარმოო დავალება 114 პროცენტით გაანაღდა, ხოლო შრომის ნაყოფიერება 10 პროცენტით გაადიდა.

აპრილში საამქროში კიდევ უფრო გაძლიერდა შრომის ტემპი. მუშები ცდილობენ პირნათლად შეასრულონ საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი და ახალი მიღწევებით აღნიშნონ მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაული. შრომის ავანგარდში კომუნისტები არიან. კომუნისტი, ცნობილი ზეინკალი არტემ ბენდიანიშვილი ცვლაში ორ-სამ ნორმას ასრულებს. იგი თავის მდიდარ საწარმოო გამოცდილებას ხალისით უზიარებს ახალგაზრდა მუშებს. ყოველდღიურ დავალებას ორმაგად ანაღდებს კომუნისტი ივონა ხუხია. წარმატებით მუშაობენ აგრეთვე კომუნისტები თ. უსანეთაშვილი, შ. სოსიაშვილი, ს. ჯიოევი, გ. შაეკიძე და სხვები. ეს ამწყობი ზეინკლები გამოირჩევიან არა მარტო რაოდენობრივი მაჩვენებლებით, არამედ შესრულებული სამუშაოს მაღალი ხარისხითაც.

საწარმოო დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებს საამქროში მომუშავე ყველა კომუნისტი, თავიანთი შრომით ისინი მაგალითს უჩენენენ უპარტიო ამხანაგებს, რაზმავენ მათ საერთო წარმატების მოსაპოვებლად. საამქროს წარმატება იმის შედეგიც არის, რომ პარტიული ორგანიზაცია სერიოზულ ყურადღებას აქცევს საწარმოო საკითხებს, სათავეში უდგას მუშათა შრომითის აქტივობას, ეწევა მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდას, ფართოდ ნერგავს შრომის მოწინავე მეთოდებს.

ი. მჰედლიშვილი.

შრომითი წარმატებების გზით

საბჭოთა ქვეყანაში ფართო გასაქანი აქვს სოციალისტურ შეჯიბრებას, ჩვენში შრომა მოსილია დიდების შარავანდედით. თითქმის სამი ათეული წელია, რაც ჰოთორის მარგანეცის ტრესტის სტალინის სახელობის მაღაროში ვმუშაობ, ვიბრძვი იმისათვის, რომ მშობლიურ მეტალურგიას მივცე მეტი და მაღალხარისხოვანი მარგანეცი.

მაგონდება 1929 წლის აპრილი, როცა პარტიის XVI კონფერენციამ მიმართა საბჭოთა კავშირის ყველა მუშასა და მშრომელ გლეხს სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის გაშლის შესახებ. მას შემდეგ 25 წელი გავიდა და სოციალისტური შეჯიბრება ნამდვილად გადაიქცა შრომის ნაყოფიერების ზრდის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლის მძლავრ ბერკეტად. მე მაშინ მალე დამკვრელი გავხდი და ჩემი გვარი წითელ დაფას არ შორდებოდა.

დადგა 1935 წელი. მთელ ჩვენს ქვეყანას მოედო დიადი სტახანოვური მოძრაობა, რომელიც გამოხატავდა სოციალისტური შეჯიბრების ახალ აღმავლობას, მის უმაღლეს ეტაპს. მარგანეცის მრეწველობაში ერთ-ერთი პირველი მეც ჩავდექი სტახანოველთა წყებაში და მივაღწიე გამომუშავების მაღალ მაჩვენებლებს. ჩემი მისწრაფება არასოდეს არ ყოფილა მარტო მე გამომეჩინა თავი, მადალი წარმატებისათვის მხოლოდ მე მიმეღწია. ყოველთვის ვცდილობ ჩემი საწარმოო გამოცდილება ახალგაზრდა მუშებს გადავცე. მინდა წარმატებით მუშაობდეს ყველა, არ გვყავდეს ჩამორჩენილები. ათობით მუშას შევასწავლე მაღაროელის პროფესია და ისინი ახლა წარჩინებული ადამიანები არიან.

სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული ვარ ნიკოპოლელ მნგრეველ დ. ბონდარენკოსთან. ჩვენ მეგობრული ურთიერთობა გვაქვს, გეგმებს ორივე დიდი გადაჭარბებით ვასრულებთ.

სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული წარმატებების შედეგად ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენები და ორი მედალი დავიმსახურე.

ახლაც საპირველმაისო სტახანოვურ ვახტზე ვდგავარ, დავალებას ორმაგად ვასრულებ, ვიბრძვი სოციალისტური შეჯიბრების ახალი აღმავლობისათვის.

ტ. ფოფხაძე,

ჭიათურის სტალინის სახელობის მაღაროს სტახანოველი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

მოწინავე ადამიანები საქართველოს სახალხო მეურნეობაზე

ჩვენს რესპუბლიკაში ამჟამად უდიდესი მასშტაბით ჩაღდება ახალი, მძლავრი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა. ამ სადგურებმა უნდა უზრუნველყონ ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი სწრაფი აღმავლობა იაფი და ჭარბი ელექტროენერგიის მიწოდებით. პარტიამ და მთავრობამ, რესპუბლიკის მთელმა მშრომელმა მოსახლეობამ ახალი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა აღიარა საყოველთაო-სახალხო საქმედ.

ჰიდროელექტროსადგურების მშენებლებს შორის ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება უკეთესი მაჩვენებლების მოსაპოვებლად. **ხურათზე:** ორთაჭალესის მშენებლები, რომლებმაც არაერთგზის მოიპოვეს გამარჯვება საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში (მარცხნიდან მარჯვენივ) — ბრიგადირი გ. ხიზანიშვილი, ინჟინერი ნ. ემუხვარი, ხურო ა. ბულითაშვილი, ბრიგადირი-მემონტაჟეები — პ. სუხოსტავცევი, ს. პანინი, ი. ზოსიმოვი და ვ. ჩაიკა.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

სოციალისტური შრომის გმირების შეჯიბრება

მიმდინარე წლის 1 აგვისტოს ჩვენი საყვარელი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში გაიხსნება სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. გამოფენაში მონაწილეობის მიღება დიდი და მეტად საპატიო საქმეა. ამიტომ არის, რომ კოლმეურნეები მონდომებით მუშაობენ, ახალი ძალით აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას, რათა თვალსაჩინო მიღწევებით შეხვდნენ გამოფენის გახსნის დღეს.

— ძვირფასო ამხანაგო გოგუცა! იმედია გაეცნობოდით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის შესახებ. მგონია, რომ გამოფენაში მონაწილეობის მიღების ღრმა სურვილი გაქვთ, დაუცხრომლად იბრძვით პარტიისა და მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობის აღმავლობის დიადი პროგრამის განხორციელებისათვის. ამიტომ გადავწყვეტეთ ჩაის უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში ჩვენი რგოლი სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებას თქვენს რგოლთან, პირადად კი მე გეჯიბრებით თქვენ, ამხანაგო გოგუცა.

ასე სწერს მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, სოციალისტური შრომის გმირი, ცნობილი მეჩაიე დარეჯან ტაკიძე ლანჩხუთის რაიონის სოფელ ლეხის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს, სოციალისტური შრომის გმირს გოგუცა ბარამიძეს.

მეგობრებს შორის სოციალისტური შეჯიბრება ამ დღეებში გაფორმდა.

დ. ტაკიძე 1940 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეა და ახლა, როცა მთელ ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გაიშალა გამოფენისათვის მზადება, მან შეკრიბა რგოლის კოლმეურნენი, მოითათბირეს, გაითვალისწინეს თავიანთი შესაძლებლობანი და იკისრეს მოსავლელად მიჩენილი 3,18 ჰექტარი ჩაის პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე მოკრეფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 10.000 კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი. პირადად ამხ. დარეჯან. ი. იკისრა 0,3 ჰექტარ პლანტაციაში მოკრეფოს 6.000 კილოგრამი. ამ ვალდებულებათა განაღდებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვეულ ლანჩხუთის რაიონის ლეხის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის ის რგოლი, რომელსაც ამხ. გ. ბარამიძე ხელმძღვანელობს.

როცა ამ ვალდებულებას გაეცნო, ამხ. გ. ბარამიძემ განაცხადა:

— დიდი ხანია ვიცნობ ამხ. დარეჯან ტაკიძეს. კარგად მახსოვს, რომ 1952 წელს იგი ეჯიბრებოდა აცანელ მეჩაიეს, სოციალისტური შრომის გმირს ამხ. შურა ჩხაიძეს. ჩვენ გაფაციცებით ვადევნებდით თვალყურს მათს ბრძოლას შეჯიბრებაში გამარჯვების მოსაპოვებლად. შურა ჩხაიძეს აჯობა ამხ. ტაკიძემ. მაგრამ ეს არ მაფიქრებს — მჯობნის მჯობნი ყოველთვის გამოჩნდება. მთავარია მივაღწიოთ საერთო აღმავლობას.

მერგოლურის ნათქვამი მოიწონეს. გამარჯვების რწმენით აღსავსე სიტყვები წარმოთქვეს კოლმეურნეებმა ელისაბედ ბარამიძემ, ანა ტოღუშმა, მარიამ კომახიძემ და სხვებმა. მათი მტკიცე გადაწყვეტილებაა მოსავლელად მიჩენილი 3,3 ჰექტარი ჩაის პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მიიღონ 10.000 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ხოლო პირადად მერგოლურმა ბარამიძემ პირობა დადო 0,3 ჰექტარზე მოკრიფოს 3.600 კილოგრამი.

მეგობრები შეთანხმდნენ, რომ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობა პირველად შემოწმდეს გამოფენის გახსნამდე 10 დღით ადრე — 20 ივლისს.

ორივე რგოლი შეუდგა ბრძოლას მეტი და მაღალხარისხოვანი ჩაისათვის. თავს დასტრიალებენ სანიმუშოდ მოვლილ პლანტაციებს, ყოველმხრივ მზად ხვდებიან კრეფის სეზონის დაწყებას.

ვის დარჩება შეჯიბრებაში გამარჯვება? ვინ წარსდგება უკეთესი მაჩვენებლებით სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე? ამას მომავალი გვიჩვენებს.

ბ. ჩხაიძე,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

> ვინც მარჯვედ შრომობს,
> გეგმას ასრულებს,
> ნახავს მოსავალს
> გუღით სასურველს.

წარმატების საწინდარი

ჩვენი მტს-ის კოლექტივი ენერგიულად შრომობს პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის.

ზამთრის დღეები კარგად გამოვიყენეთ საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მოსამზადებლად და სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩავებით მედგედოვსკის მტს-ის სახელოვან კოლექტივთან. სოციალისტური შეჯიბრება ჩვენი წარმატების, წინსვლის საწინდარია.

ახლა გაჩაღებულია ბრძოლა ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის. გულმოდგინედ ავწონ-დავწონეთ შესაძლებლობანი და ამ დღეებში ფართოდ ვიყენებთ სადღეღამისო მუშაობას. ყოველი დღისა და საათის მაქსიმალაყოფიერად გამოყენებით თოთხმეტ საამუშაო დღეში შევასრულეთ საგაზაფხულო თესვის გეგმა. უნდა დაგვთესა 3.606 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები, დავთესეთ 3.873 ჰექტარი.

მტს-მა შეძლო კვადრატულ-ბუდობრივად დათესა 435 ჰექტარი ხომინდი და მზესუმზირა. პირველმა სატრაქტორო ბრიგადამ, რომელსაც ი. თარაშვილი ხელმძღვანელობს, დავალება 117 პროცენტით შესრულა, დაზოგა 52 ცენტნერი საწვავი. მეორე ბრიგადის (ბრიგადირი ა. ბეგიაშვილი) მემანქანე-მთესავმა ი. გორბაჩკომ კვადრატულ-ბუდობრივად დათესა 155 ჰექტარი მზესუმზირა და ხომინდი. დიდი გადაჭარბებით გაანაღდეს დავალებანი იმ ბრიგადებმა, რომლებსაც შ. მოსაშვილი და გ. მეხრიშვილი ხელმძღვანელობენ.

დ. მერაბიშვილი,
წითლის მტს-ის დირექტორი;
ი. ბანგოშვილი,
პარტბიუროს მდივანი.

მისაბაძი მაგალითი

ჩვენი საამქროს უფროსის ოთახში შემსვლელის ყურადღებას იქცევს დიდი ლენინის პორტრეტი, რომელიც საწერი მაგიდის ზეგით კედელზე ჰკიდია. ერთი შეხედვით იგი ბელადის ჩვეულებრივი პორტრეტია, ისეთი, როგორსაც მრავლად ნახავთ დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, მშრომელთა ოჯახებში. მაგრამ სურათის ჩარჩოში ჩასმული წარწერა: „ი. რადნოვის მექანიკოსი სოუკეთესო დამკვრელ ბრიგადას“ ჩვენი საამქროს კოლექტივის ყოველ წევრს მოგონებს დაუვიწყარ 1929 წელს, იმ წელს, როდესაც პარტიის XVI კონფერენციამ მოწოდებით მიმართა ჩვენი ქვეყნის მშრომელებს გაეშალათ სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა. პარტიის მოწოდების პასუხად სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეებს შორის ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება საწარმოო დავალებების გადაჭარბებით განადღებისათვის, პირველი ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. შეჯიბრების პირველი შედეგების შეჯამებისას ერთ-ერთ პირველ ადგილზე გამოვიდა ი. რადნოვის ბრიგადა. ამ წარმატებისათვის იგი დასაჩუქრეს ლენინის სწორედ იმ სურათით, რომელიც ახლა საამქროს უფროსის ოთახში ჰკიდია.

ჩვენს საამქროში სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველი ჩაება მბურღავთა ბრიგადა, რომელსაც ძველი მუშა ი. არუშიძე ხელმძღვანელობდა. მის მაგალითს მიბაძეს სხვებმაც და მალე გაჩნდნენ პირველი დამკვრელები. უკვე 1929 წელს მიიღეს ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მოწინავე დამკვრელის სამკერდე ნიშნები მექანიკოებმა პ. პავლენკომ და ზ. ფუსხელიშვილმა, რომლებიც ახლაც მოგონებენ საამქროში, მუდამ მოწინავეთა რიგებში არიან.

მაგრამ ეს პირველი ნაბიჯები იყო. სოციალისტური შეჯიბრება გადაიზარდა სტახანოვურ მოძრაობად. ამ დიად მოძრაობას საქართველოში ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა ჩვენი ქარხნის ყოფილი სოუკეთესო მჭედელი დ. ჭიკინაძე. ამჟამად ქარხანაში ათასზე მეტი სტახანოველია, თითქმის ყველა მუშა ჩაბმულია სოციალისტურ შეჯიბრებაში, ყოველდღიურად იზრდება წარმოების ნოვატორთა რიგები. ახლა ჩვენი საწარმო შეჯიბრების დაწყების პირველ წლებთან შედარებით მეტ პროდუქციას უშვებს.

მექანიკოები ახალი შრომითი მიღწევებით ხვდებიან საიუბილეო თარიღს. ბაბმული არიან რა საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში, წარმატებით ანაღდებენ ნაკისრ ვალდებულებებს, განუხრელად ზრდიან შრომის ნაყოფიერებას, თავიანთი წვლილი შეაქვთ კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

გ. მარიამეული,

სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის საქვაბე საამქროს საწარმოო უბნის უფროსი.

სოციალისტური შეჯიბრების მძლავრი ძალა

კომუნისტური პარტია, ეყრდნობა რა საბჭოთა სოციალისტური წყობილების დიდ უპირატესობას, მტკიცე რწმენით მიუძღვის ჩვენს ქვეყანას კომუნიზმის გამარჯვებისაკენ. ახორციელებს რა კომუნისტური პარტიის პოლიტიკას, საბჭოთა ხალხმა მიაღწია საწარმოო ძალების უმაგალითო აყვავებას, სსრ კავშირის სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის მძლავრ აღმავლობას.

მთელი ეს წარმატებანი კვლავ მკაფიოდ მოწმობენ მეურნეობის სოციალისტური სისტემის უდიდეს უპირატესობას კაპიტალისტურის წინაშე, ისინი ცხადყოფენ კომუნისტური პარტიის — საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალის პოლიტიკის სიბრძნეს. ჩვენი პარტია თავის მოღვაწეობაში ემყარება მარქსისტულ-ლენინურ დებულებას, რომ ხალხი, მშრომელი მასები ისტორიის ნამდვილი შემოქმედნი არიან. ამიტომ პარტია მთელ თავის ძალებს ახმარს მასების შემოქმედებითი აქტივობის ყოველი ღონისძიებით განვითარებას, სახელმწიფოს მართვაში მასების ყოველი ღონისძიებით ჩაბმას. კომუნიზმის მშენებლობისათვის მასების შემოქმედებითი ინიციატივის წარმართვის მძლავრი საშუალებაა სოციალისტური შეჯიბრება. ამ მძლავრი მოძრაობის სათავეში იდგა დიდი ლენინი, რომელმაც თავის ნაშრომებში ყოველმხრივ დასაბუთა სოციალისტური შეჯიბრების პრინციპები, მისი როლი და მნიშვნელობა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

ვ. ი. ლენინმა ცხადყო, რომ მხოლოდ სოციალიზმის დროს, მხოლოდ ექსპლოატატორული კლასებისა და ექსპლოატაციის ლიკვიდაციის შემდეგ იქმნება უსაზღვრო ასპარეზი მილიონობით მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის, ნიჭისა და უნარის გამოსაჩენად. მხოლოდ სოციალიზმი, აღნიშნავდა ლენინი, პირველად უხსნის გზას შეჯიბრებას ნამდვილად მასობრივი მასშტაბით. კომუნისტური შაბათობანი, რომლებიც დაიწყო 1919 წლის მაისში მუშათა თაოსნობით, ვლადიმერ ილიას-ძეს მიაჩნდა **„კომუნიზმის ფაქტიურ დასაწყისად“**, რადგან ამ შაბათობებში მკაფიოდ გამოვლინდა მშრომელთა თავდადებული ზრუნვა არა თავიანთი პირადი ინტერესებისათვის, არამედ მთელი საზოგადოების ინტერესებისათვის; სოციალისტური სახელმწიფოს ინტერესებისათვის. ვ. ი. ლენინმა პარტიას დაუსახა ამოცანა გაევრცელებინა ეს შესანიშნავი თაოსნობა, მიეღწია იმისათვის, რომ ამ თაოსნობისათვის მხარი დაეჭირათ მუშათა ფართო მასებს. ვლადიმერ ილიას-ძე აღნიშნავდა, რომ შეჯიბრების მოწყობამ თვალსაჩინო ადგილი უნდა დაიკავოს ეკონომიურ დარგში საბჭოთა ხელისუფლების ამოცანებს შორის.

ხელმძღვანელობდა რა ლენინის მითითებებით, კომუნისტურმა პარტიამ გიგანტური მუშაობა გააჩაღა შეჯიბრების მოსაწყობად, კომუნისტურ მშენებლობაში ხალხის მასების ჩასაბმელად.

* * *

25 წლის წინათ, 1929 წლის 29 აპრილს, საკავშირო XVI პარტიულმა კონფერენციამ, დაამტკიცა რა სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმა, მიიღო მომართვა ყველა მუშისა და მშრომელი გლეხისადმი, რომლებსაც მოუწოდა გაეჩაღებინათ სოციალისტური შეჯიბრება პირველი ხუთწლედის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის. პარტიის ეს მოწოდება ღრმად ჩასწვდა გულში საბჭოთა ადამიანებს, იგი გახდა მასობრივი სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების მძლავრი ბიძგი.

ამ შესანიშნავი მოძრაობის სწრაფი და ფართო განვითარებით, მისი დიდი ქმედითობით გამოიხატა საბჭოთა ადამიანების გაზრდილი სოციალისტური შეგნებულობა. ექსპლოატაციის მოსპობამ და საზოგადოებრივი სოციალისტური საკუთრების დამკვიდრებამ, სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის გამარჯვებამ შეცვალა თვით შრომის ხასიათი. სამარცხვინო, მძიმე ტვირთიდან, როგორიც შრომა კაპიტალიზმის დროს იყო, იგი გადაიქცა ღირსების, მამაცობის, გმირობისა და სახელის საქმედ.

პარტია გვაწავლის, რომ სოციალისტური შეჯიბრება გამოხატავს მასების საქმიან რევოლუციურ თვითკრიტიკას, რომელიც ეყრდნობა მილიონობით მშრომელის შემოქმედებითს ინიციატივას.

ომისწინა ხუთწლედების წლებში სოციალისტური შეჯიბრების ფართო განვითარების საფუძველზე წარმატებით განხორციელდა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნის გეგმა. დიდი სამამულო ომის პერიოდში შეჯიბრება იყო ერთ-ერთი მძლავრი ძალა, რომელმაც უზრუნველყო ფრონტისა და ზურგის მომარაგება ყოველივე იმით, რაც საჭირო იყო მტერზე გამარჯვებისათვის. ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ამ მასობრივმა პატრიოტულმა მოძრაობამ უდიდესი როლი შეასრულა აგრეთვე ომის მძიმე შედეგების სწრაფ ლიკვიდაციაში, მეხუთე (ომისშემდგომი პირველი) ხუთწლედის გეგმის ვადამდე შესრულებაში.

ომისშემდგომ წლებში შეჯიბრება უმაღლეს საფეხურზე ავიდა — საყოველთაო-სახალხო გახდა. შეჯიბრების მონაწილეთა დიდი არმიის რიგებში ახლა 90 პროცენტზე მეტი მუშა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი და მოსამსახურეა. მასობრივი გახდა საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა შეჯიბრებაც.

მეოთხე ხუთწლედის გეგმის და მეხუთე ხუთწლედის პირველი სამი წლის გეგმის წარმატებით შესრულების შედეგად საბჭოთა ხალხმა უდიდესი წარმატებანი მოიპოვა კომუნისტური მშენებლობის საქმეში. უკვე 1953 წელს სსრ კავშირში სამრეწველო წარმოების მოცულობამ ორნახევარჯერ გადააჭარბა ომამდელი 1940 წლის დონეს. კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ, მძიმე მრეწველობის განვითარებაში მიღწეულ წარმატებებზე დაყრდნობით, დასახეს მსუბუქი და კვების მრეწველობის დაჩქარებული განვითარების ვრცელი პროგრამა, ისე, რომ ორი-სამი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გადიდდეს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის უზრუნველყოფა მასობრივი მოხმარების სასურსათო და სამრეწველო საქონლით. ეს პროგრამა წარმატებით ხორციელდება. მაგალითად, 1953 წლის მეორე ნახევარში განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება 30 მილიარდზე მეტი მანეთით გადიდდა წლის პირველ ნახევართან შედარებით. მიმდინარე წელს მიღწეულ უნდა იქნას ფართო მოხმარების საქონლის წარმოების ისეთი მოცულობა, რომელიც მეხუთე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია 1955 წლისათვის.

სახალხო მოხმარების საგნების წარმოების გადიდებისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის შემდგომ მკვეთრ აღმავლობას, სოფლის მეურნეობისა, რომელიც ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას ამარაგებს სურსათით, ხოლო მსუბუქ და კვების მრეწველობას — ნედლეულით. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების გადაწყვეტილებებში მოცემულია ღონისძიებათა გაშლილი პროგრამა, რომლის მიზანია აღმოიფხვრას სოფლის მეურნეობის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი დარგების თავმინებებულობა და ჩამორჩენა, უზრუნველყოფილ იქნას მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის შემდგომი განვითარება. ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაწყვეტაში უდიდეს როლს შეასრულებს ქალაქისა და სოფლის მშრომელთა მასობრივი სოციალისტური შეჯიბრება.

სოციალისტური შეჯიბრება, რომელსაც კომუნისტური პარტია წარმართავს, შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდის დაუშრეტელი წყაროა. პარტია გვასწავლის, რომ შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვანი გადიდებისათვის ზრუნვა საქმით უნდა გახდეს სამეურნეო ხელმძღვანელების, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების მთელი პრაქტიკული მუშაობის ცენტრი, საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების მთავარი შინაარსი.

წარმოების ნოვატორთა შემოქმედებითი აზრი სოციალისტური წარმოების ზრდისა და სრულყოფისათვის ბრძოლის სულ ახალ ფორმებს სახავს. ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გავრცელდა მოწყობილობისა და არსებული საწარმო ფართობების უკეთესი გამოყენებისათვის მოძრაობა, რომელიც გასული წლის დამლევს დაიწყო. ამ საქმეში დიდ წარმატებებს მიაღწიეს ბევრი საწარმოს კოლექტივებმა. მაგალითისათვის ავიღოთ ტამკენტის საფეიქრო კომბინატი.

კომბინატის კოლექტივმა გადაწყვიტა 1954 წელს 1953 წელთან შედარებით 7,2 პროცენტით აამაღლოს შრომის ნაყოფიერება და გაადიდოს პროდუქციის გამოშვება არსებულ საწარმოო ფართობებზე.

მრეწველობაში ფართოვდება მოძრაობა გრაფიკით თანაბარი მუშაობისათვის. ამ საქმეში დიდ წარმატებებს მიაღწიეს ქვანახშირის მრეწველობის საწარმოებმა. როგორც პრესა იუწყებოდა, ღონბასის „პერვომაისკუგოლის“ ტრესტის № 1-2 შახტის „ზოლოტოეს“ მეშახტეებმა ოლქში პირველებმა 11 აპრილს დაამთავრეს ოთხი თვის დავალება. ქვანახშირის საშუალო სადღეღამისო ამოღება გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით 27 პროცენტით გადიდდა, მუშათა შრომის ნაყოფიერება — 28 პროცენტით. მოწინავე კოლექტივმა ვადამდე აითვისა შახტის საპროექტო სიმძლავრე, რომელიც ხუთწლედის დამლევისათვის იყო დაგეგმილი. მუშაობაში წარმატებას მაღაროელებმა მიაღწიეს შრომის ორგანიზაციის პროგრესული ფორმის — ციკლურობის გრაფიკის დანერგვით. ყველა საწმენდ სანგრევში საამუშაოები მიმდინარეობს მტკიცე გრაფიკის მიხედვით — ერთი ციკლი დღეღამეში. ამან შესაძლებელი გახადა სამთო ტექნიკის უფრო სრული გამოყენება.

საბჭოთა კავშირში ფართოდ გავრცელდა სოციალისტური შეჯიბრება ხედლეულის, სათბობისა და ელექტროენერგიის მომჭირნეობისათვის. 1953 წელს მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის საწარმოებმა სახელმწიფოს. დაუზოგეს 20 ათასამდე ტონა ლითონი, 230 მილიონი კილოვატ-საათი ელექტროენერგია, 272 ტონა მატყლი, 2.500 ტონაზე მეტი ბამბა და ბევრი სხვა ხედლეული და მასალა.

მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირების და სოფლის მეურნეობის მოწინავეთა სრულიად რუსეთის თათბირის მონაწილეთა ინიციატივით სულ უფრო ფართოდ ჩაღდება საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება სოფლად იმ ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ სოფლის მეურნეობას დაუსახეს. კოლმეურნეები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები აჩაღებენ ბრძოლას საგაზაფხულო-თესვის სანიმუშოდ ჩატარებისათვის, ტექნიკის და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა რეზერვის უკეთესი გამოყენებისათვის. ამავე დროს მრეწველობაში ვითარდება იმისათვის მოძრაობა, რომ ყოველგვარი დახმარება გაეწიოს სოფლის მეურნეობას.

კომუნისტური პარტია მოგვიწოდებს დაუცხრომლად ვავითარებდეთ სოციალისტურ შეჯიბრებას, უფრო ფართოდ გავავრცელოთ წარმოების ნოვატორთა გამოცდილება, მოწინავეთა დონემდე ავიყვანოთ ჩამორჩენილები. მილიონობით საბჭოთა ადამიანისადმი მიმართული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდება:

„საბჭოთა კავშირის მშრომელებო! იბრძოლეთ, რათა ახალი წარმატებანი მოიპოვოთ სოციალისტურ შეჯიბრებაში ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის! გავაჩაღოთ ფართო სახალხო მოძრაობა შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის — სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის ზრდის საფუძვლისათვის!“

პარტია და მთავრობა მზრუნველობით ზრდიან წარმოების ნოვატორთა კადრებს, მაღალ შეფასებას აძლევენ მათს გმირულ, თავდადებულ შრომას. ომისშემდგომ წლებში სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია ქალაქისა და სოფლის ერთ მილიონ 600 ათასზე მეტი მშრომელი. თვალსაჩინო საწარმოო მიღწევებისათვის წარმოების 6.500 მოწინავეს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება.

სოციალისტური შეჯიბრების ცხოველმყოფელმა ძალამ განსაკუთრებით მკაფიოდ იჩინა თავი შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდით. უკანასკნელი 25 წლის მანძილზე შრომის ნაყოფიერება ჩვენს მრეწველობაში გადიდდა დაახლოებით 6-ჯერ, მშენებლობაში და რკინიგზის ტრანსპორტზე — სამნახევარჯერ.

საბჭოთა კავშირის მშრომელები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, იყენებენ რა კომუნისტური შშენებლობის ნაცად მეთოდს — სოციალისტურ შეჯიბრებას, მტკიცე რწმენით მიდიან წინ კომუნიზმის ახალი გამარჯვებებისაკენ.

მ. დემჩენკო.

წერილები რედაქციას

ბიუროკრატიზმისა და კანცელარიშჩინის აღმაშფოთებელი მაგალითი

ზემდგომი ორგანოების დირექტივების შესაბამისად „ბოსტანჯიშთესლის“ კანტორებს დაევალათ გაეფართოონ ბოსტნეული, ბაღჩეული კულტურებისა და საკვები ძირხვენების ჯიშიანი თესლით მოვაჭრე მაღაზიების ქსელი.

აღნიშნული მითითების შესრულების მიზნით „საქბოსტანჯიშთესლის“ თბილისის სარაიონთაშორისო კანტორამ სათანადო ორგანოების წინაშე დასვა საკითხი, რომ თესლით მოვაჭრე მაღაზიების გასახსნელად მიეცათ მისთვის შესაფერისი შენობები (დარაბები).

1954 წლის 13 იანვარს ამის შესახებ ჩვენ მივწერეთ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის სავაჭრო განყოფილების გამგეს ამხ. ბაიდაშვილს, რათა მას კანტორისათვის გამოეყო სტალინის სახელობის რაიონის საკოლმეურნეო ბაზარში ერთი ვარგისი დარაბა მეთესლეობის მუდმივი მაღაზიის საჭიროებისათვის. ეს მაღაზია მომსახურებას გაუწევდა გარეუბნის რაიონის კოლმეურნეობებსა და მოსახლეობას.

23 იანვარს „ბოსტანჯიშთესლის“ თბილისის სარაიონთაშორისო კანტორამ მიმართვა გაუგზავნა ქალაქ თბილისის 26 კომისრის სახელობის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. აფხაძეს, რომ გამოეყო ამ რაიონის საკოლმეურნეო ბაზარზე ერთი დარაბა თესლის სარეალიზაციო სეზონური მაღაზიისათვის. ასეთივე მიმართვები გაეგზავნა საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრს ამხ. კოჭლამაზაშვილს მიმდინარე წლის 29 იანვარს, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. მაღრაძეს 8 თებერვალს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 11 თებერვალს, ქ. თბილისის საკოლმეურნეო ბაზრების სამმართველოს.

რა მოჰყვა ყოველივე ამას? — სრულიად არაფერი.

ინტერესს მოკლებული არ იქნება მოვიყვანოთ აღნიშნული ორგანოების მიერ გაცემული პასუხის შინაარსი. მაგალითად, თბილისის საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის განყოფილების გამგე ამხ. ბაიდაშვილი გვატყობინებს: „თქვენთვის ვარგისი დარაბის გამოყოფა ქალაქ თბილისის სტალინის სახელობის რაიონის საკოლმეურნეო ბაზარში ამჟამად არ შეგვიძლია ასეთის უქონლობის გამო“.

5 თებერვალს საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ამხ. ქოჩლაძე თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის განყოფილებას წერს: „ნება დაერთოს „ბოსტანჯიშთესლის“ თბილისის სარაიონთაშორისო კანტორას გახსნას მაღაზია 26 კომისრის სახელობის რაიონში“.

თავის მხრივ თბილისის აღმასკომის სავაჭრო განყოფილება ამა წლის 15 თებერვლის მიმართვით ავალებს 26 კომისრის სახელობის რაიონის ვაჭრობის განყოფილებას „უმოკლეს დროში აღმოუჩინონ თბილისის სარაიონთაშორისო კანტორას შესაფერისი შენობა და შედეგი აცნობონ მას“.

სავაჭრო განყოფილების გამგე ამხ. ბაიდაშვილი ამა წლის 23 თებერვალს ქალაქ თბილისის საკოლმეურნეო ბაზრების სამმართველოს უფროსს ამხ. ჩიგოგიძეს წერს, რომ სავაჭრო განყოფილება ნებას აძლევს საქართველოს „ბოსტანჯიშთესლის“ თბილისის კანტორას გახსნას თესლის სავაჭრო მაღაზია 26 კომისრის სახელობის რაიონის ნავთლუღის საკოლმეურნეო ბაზარზე და ავალებს მას ამავე ბაზარზე შესაფერისი შენობის (დარაბის) გამოყოფას.

საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ამხ. ქოჩლაძე წერს საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის განყოფილებას: „გთხოვთ დაჩქაროთ „საქბოსტანჯიშთესლის“ თბილისის სარაიონთაშორისო კანტორისთვის 26 კომისრის რაიონში სათავსოს გამოყოფა“.

12 მარტს საკოლმეურნეო ბაზრების სამმართველომ საბოლოოდ გვაცნობა, რომ ვერის ბაზარზე მას არა აქვს ბინის მოცემის შესაძლებლობა და ჩვენი თხოვნა მიღებული იქნება მხედველობაში.

ყოველივე ეს ხდება იმ დროს, როცა ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების თესვის ვადები გადის, ჩვენს საკოლმეურნეო ბაზრებზე კერძო პირები კი თავისუფლად ჰყიდიან უვარგის, უკონდიციო თესლს, ხოლო დარაბები დაკავებული აქვთ ერთი და იმავე ასორტიმენტით მოვაჭრე არტელებს მაღაზიებსა და ღვინით მოვაჭრე არტელებს.

ამრიგად, „საქბოსტანჯიშთესლის“ თბილისის სარაიონთაშორისო კანტორის მიმართვები, მიმოწერა და შუამდგომლობები რჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. დღემდე არც ერთი დასახელებული ორგანიზაცია პრაქტიკულად არ დაგვხმარებია მეთესლეობის მაღაზიებისა და ფარდულების გახსნის საქმეში.

ადვილი მისახვედრია, თუ რამდენად შეესაბამება ამ ორგანიზაციების ასეთი საქმიანობა პარტიისა და მთავრობის დადგენილებებს სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობის შესახებ.

ფაქტებს კომენტარი არ ესაჭიროება. საქმისადმი ბიუროკრატულ დამოკიდებულებას ბოლო უნდა მოეღოს.

ვ. რუსიშვილი,

„საქბოსტანჯიშთესლის“ თბილისის კანტორის მმართველი.

ხელოვნების ქრონიკა



მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში გაიხსნა ახალი კლუბი. კლუბი მხატვრულად გაფორმდა სტალინური პრემიის ლაურეატმა მხატვარმა რ. სტურუამ, მოქანდაკემ ლ. ცომაიამ და მხატვარმა გ. ჩირინაშვილმა.

კლუბის დარბაზი გათვალისწინებულია 800 მაყურებლისათვის. ჭერის მოხატულობა შესრულებულია ხალხთა მეგობრობის, კერძოდ უკრაინელ და ქართველ კოლმეურნეთა მეგობრობის თემაზე. სურათზე: კლუბის დარბაზი.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

კომპოზიტორის შემოქმედებითი საღამო

ბათუმი. (საკ. კორ.). ბათუმის სახელმწიფო თეატრში გაიმართა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის კომპოზიტორ ა. ფარცხალაძის 35 წლის პედაგოგიური და შემოქმედებითი მოღვაწეობის აღსანიშნავი საღამო.

ა. ფარცხალაძის მოღვაწეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ვლ. შარაშიძემ, მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ აჭარის სახელმწიფო ფილარმონიის დირექტორი ნ. კუხალეიშვილი, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ი. კობალაძე. აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტი ა. ჯიჯეიშვილი, პოეტი ნ. მალაზონია და სხვები.

ახალი სპექტაკლი

სოხუმი. (საკ. კორ.). სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრმა მაყურებელს უჩვენა ახალი სპექტაკლი — ვ. მინკოს „ვვარსნუ დავსახელებთ“, რომლის დადგმა განახორციელა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ს. ჭელიძემ. მხატვრობა ეკუთვნის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ნ. ყაზბეგს.

ჭიათურის თეატრის ახალი დადგმები

ჭიათურა. (საკ. კორ.). აკ. წერეთლის სახელობის ჭიათურის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის აღსანიშნავად განაახლა ა. კორნეიჩუკის კომედიის „ძახელის ჭალის“ დადგმა, სპექტაკლი დადგა საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა მ. ვაშაძემ, გააფორმა მხატვარმა მ. აბეთნდაძემ.

თეატრი დასადგმელად ამზადებს ე. ზოლას უკვდავ კომედიას „ლაბურდენის მემკვიდრენი“, რომლის დადგმა ეკუთვნის საქართველოს სსრ სახალხო არტისტ ბ. ფრანგიშვილს, მხატვრობა — დ. მირიანაშვილს და ბალაბანისა და სობკოს პიესას — „ასი მილიონი“.

საკოლმეურნეო სოფელს სანიმუშო სამედიცინო მომსახურება

(სოფლის ექიმთა და აფთიაქების მუშაკთა რესპუბლიკურ თათბირზე)

სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობისათვის პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ღონისძიებათა განხორციელების ინტერესები მოითხოვს საკოლმეურნეო სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების მკვეთრ გაუმჯობესებას.

ჩვენი რესპუბლიკის მთელ რიგ სამედიცინო დაწესებულებათა მუშაობის პრაქტიკაში წარმატებით ინერგება დიდი რუსი მეცნიერის აკადემიკოს ი. პავლოვის ფიზიოლოგიური მოძღვრება. სოფლად მომუშავე ექიმთა შორის ფართო გამოხმაურება ჰპოვა ჩუდნოვის რაიონის მედიცინის მუშაკთა კოლექტივის მოწინავე გამოცდილებამ საკოლმეურნეო სოფლის მოსახლეობის დისპანსერიზაციის დარგში; წარმატებები აღინიშნება სამედიცინო-პროფილაქტიკურ მუშაობაში; გაუმჯობესდა სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება; მაღლდება მედიცინის მუშაკთა იდეურ-პოლიტიკური დონე. მიუხედავად ამისა, საქართველოს სსრ სოფლის ექიმთა და აფთიაქების მუშაკთა რესპუბლიკურმა თათბირმა, რომელიც ამ დღეებში გაიმართა, გამოაელინა სერიოზული ნაკლოვანებანი საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა სამედიცინო მომსახურების დარგში.

თათბირმა, რომელიც გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ამხ. მ. კუჭავამ, მოისმინა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ამხ. დ. მამამთავრიშვილის მოხსენება სოფლის მცხოვრებთა სამედიცინო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ყურადღება გაამახვილეს სამედიცინო კადრების აღზრდის, შერჩევისა და განაწილების საკითხებზე. ამ მხრივ სერიოზულ ნაკლოვანებებს აქვს ადგილი ჩვენს რესპუბლიკაში. მაგალითად, 1946 წლიდან 1952 წლის ჩათვლით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტმა გამოუშვა 3.918 სპეციალისტი. აქედან რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ განაწილებული იყო 1.129 ექიმი, მაგრამ ადგილზე გამოცხადდა მხოლოდ—349. ხშირია შემთხვევები, როცა კურსდამთავრებულები არ მიდიან სამუშაოდ საქართველოს რაიონებშიც. ამიტომ არის, რომ რესპუბლიკის რაიონებში 400-ზე მეტი ექიმის ვაკანტური ადგილია. აქედან 157 ადგილი — სოფლის საუბნო საავადმყოფოებსა და ამბულატორიებში.

როგორც კამათში გამოსულმა წალკის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგემ ამხ. პაპავამ აღნიშნა, რაიონი განიცდის ექიმთა ნაკლებობას. ასეთივე მდგომარეობაა ბოგდანოვკის, მესტიის, ყაზბეგისა და სხვა რაიონებში. სოფლები ელიან ექიმებს, ხოლო სამედიცინო ინსტიტუტის კურსდამთავრებულები კუხალეიშვილი, ჩოჩია და სხვები კატეგორიულ უარს აცხადებენ სოფლად სამუშაოდ წასვლაზე.

არ შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს, როდესაც ადგილებზე ჩასულ ექიმებს არ გზავნიან რაიონებში. მაგალითად, ექიმი ო. ვაჩეიშვილი განაწილებული იყო ბათუმის რაიონში. აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ამხ. რ. ინაიშვილმა იგი დატოვა ქალაქ ბათუმში, იმ დროს როდესაც ბათუმში საკმარისი რაოდენობით არის ექიმები, ხოლო ბათუმის რაიონში 4 ვაკანტური ადგილია. ასევე არასწორად მოიქცა სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგე ამხ. ზ. პირადაშვილი, რომელმაც ლენინგორში განაწილებული ექიმები ქობულოვი და ჩოჩიევი სტალინირში დატოვა, ლენინგორის რაიონს კი ექვსი ექიმი აკლია.

თათბირზე მხილებულ იქნა ექიმთა მხრივ ავადმყოფებისადმი უსულგულო დამოკიდებულების ფაქტები.

ადგილებზე კვალიფიციური სამედიცინო-პროფილაქტიკური დახმარების ცენტრებს წარმოადგენენ რაიონული საავადმყოფოები, მაგრამ ზოგიერთი საავადმყოფო მოუქნელად მუშაობს. მთელი დატვირთვით არ მუშაობენ ყაზბეგის, ახმეტის, გეგეჭკორის, გარდაბნისა და სხვა რაიონული საავადმყოფოები. ეს კი იწვევს თბილისის საავადმყოფოების გადატვირთვას.

რესპუბლიკაში ლიკვიდირებულია მთელი რიგი ინფექციური დაავადებანი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამ დარგში არ არსებობდეს ხარვეზები. არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ბრძოლა ინფექციურ დაავადებათა წინააღმდეგ აჭარის ასსრ-ში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში. ზოგიერთ რაიონში (მცხეთა, ცაგერი) დაბალია ეპიდემიის საწინააღმდეგო მუშაობის ხარისხი.

კამათში გამოსული ამხანაგები აცხადებდნენ, რომ ზოგიერთი რაიონები ცუდად მარაგდებიან მედიკამენტებითა და სამკურნალო აპარატურით.

თათბირზე აღინიშნა, რომ სამკურნალო დაწესებულებების კაპიტალური მშენებლობა ნელი ტემპით მიმდინარეობს. 1952 წელს კაპიტალური მშენებლობის გეგმა შესრულდა 58 პროცენტით, 1953 წელს — 91,3 პროცენტით, ხოლო 1954 წლის პირველ კვარტალში — 12,6 პროცენტით. წლების მანძილზე ჭიანურდება მარნეულში, გეგეჭკორსა და სხვა რაიონებში საავადმყოფოების მშენებლობა.

სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების დარგში არსებულ ნაკლოვანებათა ერთ-ერთ სერიოზულ მიზეზს წარმოადგენდა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მოუქნელი მუშაობა. სამინისტროს აპარატის მუშაკებმა ნაკლებად იცოდნენ რა ხდებოდა ადგილებზე, ისინი ცოცხალ ორგანიზატორულ მუშაობას ცვლიდნენ ქაღალდის კორიანტელით. სამინისტრო სათავეში არ ედგა მოწინავეთა გამოცდილების პოპულარიზაციის საქმეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებიც სათანადო დახმარებას არ უწევენ სოფლებს.

განხილულ საკითხზე თათბირმა მიიღო სათანადო ღონისძიებანი.

თათბირის მონაწილეებისათვის სამედიცინო დარგის წამყვანმა სპეციალისტებმა წაიკითხეს მოხსენებები. მაგალითად, პროფესორმა ნ. ყიფშიძემ წაიკითხა მოხსენება თემაზე — „გადაუდებელი თერაპია საბჭოთა მედიცინის მიღწევათა შუქზე“, პროფესორმა კ. ერისთავამ — „საბჭოთა ქირურგიის თანამედროვე მიღწევები“, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა გ. ფიცხელაურმა — „სოფლის მეურნეობის მუშაკთა დისპანსერიზაცია“ და სხვ.

შეხვედრა მწერალ ლეონიძესთან

გორის-ბალთაგორის [illegible] ფედაგოგიური ინსტიტუტის ენა-ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტებმა, სოფლებიდან ჩამოსულ სოფლის-მასწავლებელთა და სტუდენტთა შეხვედრა გამოჩენილ საბჭოთა მწერალთან, სტალინური პრემიის ლაურეატ ლეო ქიაჩელთან მისი დაბადების 70 წლისთავის, შესრულებასთან დაკავშირებით.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა მწერალმა ოთარ ჩხეიძემ.

მოხსენება ლეო ქიაჩელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ წაიკითხა დოცენტმა ს. გაჩეჩილაძემ.

— ლ. ქიაჩელი, — თქვა მან, — ქართული კლასიკური მწერლობის დიდი ტრადიციების საუკეთესო განმგრძობია. შესანიშნავ რეალისტურ ტილოებში მან მაღალმხატვრულად ასახა ქართველი ხალხის რევოლუციური ბრძოლა, ჩვენი ეპოქის დიდმნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მოვლენები.

სიტყვებით გამოვიდნენ მწერალი გ. ქიქოძე, დოცენტები ბ. ციხლაძე და გ. ჩიტაია. იუბილარისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს სტუდენტებმა მ. შაქარაშვილმა, ქ. ვანიშვილმა, ა. ტაბატაძემ და ა. კარტოზიამ.

ლეო ქიაჩელმა მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას გულთბილი შეხვედრისათვის და ილაპარაკა თავისი შემოქმედებითი მუშაობის შესახებ.

დასასრულ აღგილობრივი ძალებით გაიმართა კონცერტი.

პერიოდულ გამოცემათა სამკითხველო დარბაზი

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოწყობილია პერიოდულ გამოცემათა სამკითხველო დარბაზი, რომელშიც თავმოყრილია ჟურნალ-გაზეთების როგორც ძველი, ისე ახალი გამოცემანი.

სამკითხველოში ნახავთ მე-19 საუკუნეში გამოცემულ ისეთ ჟურნალ-გაზეთებს, როგორიც არის „ცისკარი“, „ეგერნა“, „კვალი“, „ცნობის ფურცელი“, „დროება“, „ტიფლისკი ლისტოკი“, „კავკაზი“, 1819 წელს გამოცემული პირველი „ქართული გაზეთის“ ნომრები. 1845 წელს პლატონ იოსელიანის რედაქტორობით გამოდიოდა „კავკასიის მხარეთა უწყებანი“, რომლის ერთადერთი დარჩენილი ეგზემპლარი (№ 11) ინახება უნივერსიტეტის ამ სამკითხველოში.

აქვეა გაზეთ „პრავდის“ ნომრებიდან გადმობეჭდილ მასალათა კრებულები (1912 წლით დაწყებული), საქართველოს კომუნისტური პარტიის ორგანოს გაზეთ „კომუნისტის“ პირველი ნომრების (1920 წლიდან) კომპლექტები და სხვ. ფართოდ არის წარმოდგენილი საბჭოთა პერიოდული გამოცემანი.

სამკითხველო დარბაზი დიდი რაოდენობით იღებს როგორც ცენტრალურ, ისე რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებსა და ბროშურებს.

შ. ხეთაგური.

ახალი წიგნები

ალექსანდრე დიუმა — „ზრაფი მონტე-ქრისტო“, ფრანგულიდან თარგმნა თ. საკვარიმ. წიგნი I-II. საბლიტგამი. თბილისი, 1953 წელი. ტირაჟი 8.000, გვ. 555, ფასი 18 მან. 90 კაპ.

ლევან მენაბდე — „სულხან-საბა ორბელიანი“, მონოგრაფია, საბლიტგამი, თბილისი, 1953 წელი. ტირაჟი 6.000, გვ. 168, ფასი 3 მან. 80 კაპ.

მონოგრაფიაში განხილულია სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრების გზა, შემოქმედება და ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში. წიგნს ჩართული აქვს სულხან-საბა ორბელიანის, არჩილის და ვახტანგ VI სურათები, ახლავს თბილისის რუკა (XVII საუკუნის 70-იანი წლები).

ილია მელქაძე — „რსდმპ კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი“, სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი, 1954 წელი. ტირაჟი 8.000 გვ. 221, ფასი 3 მან. 80 კაპ.

ლეო ქიაჩელის დაბადების 70 წლისთავი

შთაგონებული ხელოვანი

გ. ჯიბლაძე.

ქართული კლასიკური პროზის დიდმა ტრადიციამ, რეალისტური ხელოვნების ძირითადი პრინციპებით სინამდვილის გამოსახვის ტრადიციამ ბუნებრივი განვითარება ჰპოვა ისეთი შთაგონებული ხელოვანის შემოქმედებაში, როგორიც ლეო ქიაჩელია. მისი მოთხრობები და რომანები, ნოველები და საბავშვო ესკიზები ცხოვრების ღრმა ცოდნასთან ერთად გამოირჩევიან რეალისტური შხატვრობის სილამაზით. მაგრამ ამ წარმატებას მწერალმა ერთბაშად როდი მიაღწია. შემოქმედების რთულ გზაზე მან ბევრი წინააღმდეგობა გადალახა, ხარკიც კი გადაუხადა მოდერნისტულ ლიტერატურას, თუმცა ყოველთვის ცდილობდა არ დაშორებოდა რეალიზმს, როგორც ჭეშმარიტად დიდი ხელოვნების მთავარ მაგისტრალურ ხაზს.

ისეთი ნოველები და მოთხრობები, როგორიც არის „Escalade“, „შეურაცხყოფილი“, „პატარა ისტორია“, „სტეფანე“, „ცოდვის შვილები“, „ისკანდერი“, „მკვლელობა კოხტა-ბორაზე“ წარმოადგენდნენ სიმბოლისტურ-იმპრესიონისტული მიმდინარეობის ნაწილობრივ მიღებას, მაგრამ ამ ნაწარმოებებშიც ქიაჩელი არ არღვევდა ფაბულის თანმიმდევრობას, აღწევდა რა თვითეულ მათგანში კომპოზიციურ სრულყოფას. მოკმედი გმირების ფსიქოლოგიური სიღრმე და დასრულებული ფაბულა ის დამახასიათებელი ნიშნები იყო, რომლებიც მოდერნისტ ქიაჩელში ამყდავნებდნენ რეალისტ ქიაჩელს. განყენებული, ფანტასტიკური ქვეყნის წარმოსახვაში თავისებურად ჩანდა რეალური სინამდვილის მხატვრული ათვისებისაკენ მისწრაფება და ამიტომ ანორმალურის ესოლოგია სიმბოლისტურ ნიღბებთან ერთად შეუთავსებელი იყო მომავალში ისეთი რეალისტისათვის, როგორიც მკითხველის წინაშე წარსდგა „ტარიელ გოლუას“, „სისხლის“, „ვეფხი ბიგვას“ და „მთისკაცის“ ავტორი. პესიმიზმი და იდეალიზმი, რაც ესოდენ დამახასიათებელია ქიაჩელის ადრინდელი პერიოდის მოდერნისტული თხზულებებისათვის, თავის ნაცვალყოფილს პოულობდა კანტის ტრანსცენდენტალურ ფილოსოფიაში, ხოლო „შეურაცხყოფილის“ მთავარი მოქმედი გმირის პრობლემატიკა „an sich“-ის არასწორ გაგებას ემყარებოდა. ეს სახე მაინც უნდა იქნას მიჩნეული, როგორც ტიპიური გამოსახვა იმ ადამიანებისა, რომლებიც ჭეშმარიტ გზას იეძებენ აცდენილნი და ცდილობდნენ ყალბად გაგებულ ფილოსოფიაში სამყაროს შეცნობის პრაქტიკული საკითხები ამოეცნოთ.

ყოველივე ეს მაინც ეპიზოდი იყო ქიაჩელის შემოქმედებისათვის, ვინაიდან ამ გზით ის არ წასულა, ხოლო რომ გაჰყოლოდა ცდომილებას, მაშინ მას არ შეეძლო დაეკავებინა ერთ-ერთი პირველი ადგილი თანამედროვე ბელეტრისტთა შორის. ეს ადგილი მან ღირსეულად მოიპოვა იმის შედეგად, რომ ერთგული დარჩა ქართული პროზის დიდი რეალისტური ტრადიციისა, რომელიც განმტკიცებულია XIX საუკუნის კლასიკური ბელეტრისტიკის ისეთი უდიდესი ოსტატების მიერ, როგორიც იყვნენ ილია ჭავჭავაძე, აღექსანდრე ყაზბეგი, დავით კლდიაშვილი და ეგნატე ნინოშვილი.

სწორედ ამ ტრადიციის გაგრძელების შედეგია XX საუკუნის ქართული მხატვრული პროზის ბრწყინვალე შენაძენი — 1915 წელს დაწერილი „ტარიელ გოლუა“, რომელშიც პირველად გადაიშალა ავტორის შესანიშნავი უნარი — სინამდვილე გამოხატა სადად, დამაჯერებლად, ტიპიურად, როგორც ეს ყოველი ჭეშმარიტი, უზადო მხატვრის დამახასიათებელია. მარტო ის რადა ღირს, რომ ერთ ნაწარმოებში მწერალმა ამდენი ცოცხლად გამოკვეთილი ტიპი დახატა, ისეთი ოსტატობითა და სიძლიერით, რომ თამამად შეგვიძლია ბევრი მათგანი გვერდში ამოვუყენოთ XIX საუკუნის ქართული კლასიკური პროზის სრულყოფილ სახეებს. ასეთებია ტარიელი და ლევანი, დავითი და თინა, გაიოზ გადლენდია, ბეჟანა და ბაჩუა.

ცხოვრების მახვილი პოეტური თვალით დანახვასთან ერთად ამ რომანში ცოცხლად გამოქანდაკებული ტიპების გვერდით ყურადღებას იქცევდა სიუჟეტის ბუნებრივი განვითარება, კომპოზიციური ოსტატობა, ხელოვნების უმაღლეს მოთხოვნათა მიხედვით მხატვრული დეტალების დახვეწა. ჩვენს ბელეტრისტთაგან არავის ისე ტიპიურად, ცოცხლად და დამაჯერებლად, დიდი პოეტური ოსტატობით არ გამოუხატავს 1905 წლის რევოლუციის დროინდელი სოფელი, მისი ადამიანები, მახვილის აზვირთებული განწყობილება, როგორც ეს ლეო ქიაჩელმა შეძლო. სიუჟეტის შინაგანი დაძაბულობა, მოქმედ გმირთა დასრულებული პერსონიფიცირება, როცა თვითეულს თავისი სრულიად დამოუკიდებელი სახე აქვს და ისე მოქმედებს რომანში, როგორც რეალური ადამიანი ცხოვრებაში, — ეს წარმოადგენს „ტარიელ გოლუას“ ერთ-ერთ ყველაზე უფრო თვალსაჩინო მიღწევას. ცენტრალური მოქმედი გმირი გამოქანდაკებულია ყალმის ოსტატის ხელით, ყველაფერი ბროლივით სუფთა ჩანს 65 წლის მოხუცის — ტარიელის პიროვნებაში. მარტო ამ სახის გამოკვეთით ლეო ქიაჩელს შეეძლო წარუშლელი კვალი დაეტოვებინა ქართულ პროზაში, რომანის დანარჩენ გმირებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. მაგრამ ავტორმა ასეთივე ძალით მთელი სოფელი დახატა, 1905 წლის სოფელი, რომელიც ორად იყო გაყოფილი — ერთ მხარეზე იდგა რევოლუციური გლეხობა, მეორეზე — თავადაზნაურობა, როგორც ცარიზმის დასაყრდენი.

ხალხის მახასხბრივი აზვირთება, ინტერესთა რთული ჭიდილი, ბრძოლა სახალხო საქმისათვის, მისი ძირის გამოთხრა მოღალატეთა მიერ ცარიზმისა და თავადაზნაურობის ინტერესებისათვის — ყველაფერი ეს ქიაჩელმა ფხიზელი რეალისტის თვალით დანახა და ასევე ფხიზელი რეალისტის კალმით აღწერა. ამით დაიკავა მან თავდადგე თვალსაჩინო ადგილი XX საუკუნის ქართულ მხატვრულ პროზაში, ხოლო მისმა რომანმა სავსებით დამსახურებულად მოიპოვა რეალისტური მხატვრული შედევრის სახელი. გაიხსენეთ თუნდაც რომანის ფინალი, როდესაც ხალხის საქმისათვის ტანჯული, მოხუცი ტარიელ გოლუა, რომელმაც რევოლუციის საქმეს შესწირა ოჯახიც და ერთადერთი შვილიც, კვლავ საბრძოლველად გამოსულ ახალგაზრდათა შორის ახე დგას, „როგორც დროს ქარიშხლით ტოტებშემსხვრეული, აქა-იქ კანდაკორძებული, მაგრამ ფესვებმაგარი და ტანძლიერი ძველი მუხა სდგას ხოლმე ახალ ავარდნილ მწვანე ნორჩს ტყეში“. ეს სურათი ისე ოსტატურად არის წარმოსახული, რომ მკითხველის მეხსიერებიდან არასოდეს არ ამოიშლება.

სინამდვილის რეალისტური ხედვა ჩანს ქიაჩელის ვრცელ რომანშიც „სისხლი“, რომელიც პირველი მსოფლიო ომის წინაპირობდს გვიხატავს. ავტორმა სცადა აეხსნა 1905 წლის შემდეგ რევოლუციური ბრძოლა მეფის რეჟიმის წინააღმდეგ, ეჩვენებინა უთანხმოება ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის; მართალია, რომანში ბევრია სადავო, თუნდაც ის, რომ ავტორი უმთავრესად მენშევიკ არჩილ დადიშიანისა და მისი წრის ფონზე ავითარებს ნაწარმოების ფაბულას, მაგრამ, ამ სერიოზული ნაკლის მიუხედავად, „სისხლში“ დიდი ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით დახატულია აღნიშნული პერიოდის ადამიანების გალერია. ნაჩვენებია პატიმართა ცხოვრება, მათი გაქცევა ქუთაისის ციხიდან ისტორიული გვირაბით, ერთი სიტყვით, ეპოქა მაინც ჩანს მისი დამახასიათებელი ნიუანსებით. ზოგიერთი ნაკლს თუ არ გავითვალისწინებთ, ნიკო და გოგია საინტერესოდ დახატული ტიპებია, ისევე როგორც გუშინდელი გლეხის ბიჭი ანდრო ქარავაძე, რომელიც რევოლუციის მხარეზე დგება. არჩილ დადიშიანთან ერთად გამოყვანილი წვრილბურჟუაზიულ-ინტელიგენტური წრის წევრები, ყველა ეს ცაცა ვარაძეები და ბალანდიები განეკუთვნებიან იმ ადამიანებს, რომლებიც რევოლუციამ დავიწყებას მისცა. ამ რომანთაც ქიაჩელი მკითხველის წინაშე დგას როგორც თხრობის შესანიშნავი ოსტატი, ფსიქოლოგიურ განწყობილებათა დიდი დამაჯერებლობით გამმხატველი მწერალი, რომელსაც ეხერხება თავიდან ბოლოამდე მოსაწყენი პროზის უფერულობა. როგორც იდეური შინაარსით, ისე მხატვრული კომპონენტებით „სისხლი“ სოციალურ-პოლიტიკური რომანთა ჯგუფს განეკუთვნება.

სინამდვილის ფხიზელი რეალისტური თვალით დანახვა რომ არ შეძლებოდა, ქიაჩელი ვერ დაწერდა საკოლმეურნეო ცხოვრების თემაზე ისეთ ბრწყინვალე ნაწარმოებს, როგორიც არის „ვეფხი ბიგვა“. მასში 40-იანი წლების საბჭოთა სოფლის ცხოვრება ასახულია ნასიათებია და ტიპების ოსტატური ჩვენებით, ობიექტური რეალობის იმ ღრმა ცოდნით, უორმლისოდ ეპიკური ტილოს შექმნა საერთოდ შეუძლებელია. ამ რომანში ავტორმა დიდ მხატვრულ სიმაღლეს მიაღწია და ამიტომ სავსებით ბუნებრივია „ვეფხი ბიგვას“ პოპულარობა როგორც საქართველოში, ისე რუსეთსა და ევროპაში, ეს რომანი დღესაც იბეჭდება ხალხთა მრავალ ენაზე. დაწერილია მიმზიდველი მხატვრული ენით, აღწევს სიუჟეტის ბუნებრივ ლაკონურობას, რომაც მთელი ამბავი ორ დღეღამეში ხდება და ავტორი მაინც ახერხებს დროის ამ მცირე მონაკვეთში დამაჯერებლად გვიჩვენოს ცხოვრება, კეთილის გამარჯვება ბოროტზე, ადამიანის გარდაქმნა, მისი ჩადგომა სოციალიზმის მშენებელთა ფალანგაში. არავინ იფიქროს, თითქოს აქ მწერალი ანტიკური დრამის შემოქმედებითს პრინციპს იყენებდეს. არა, მხოლოდ სიუჟეტის ბუნებრივ ლაკონურობას აღწევს სინამდვილის ცოცხლად წარმოსახვის მხატვრული ინტერესებისათვის და ჩვენს წინაშე წარმოადგენს ცოცხალ ადამიანებს, რომლებიც ორკეთილი გლეხის ბიჭვის გვერდით მოქმედებენ.

უწინარეს ყოვლისა საინტერესოა რომანის მთავარი გმირი გვადი, რომელმაც რევოლუციამდელ სოფელში ტანჯვისა და უბედურების მეტი ვერაფერი ნახა, ამიტომ ეჯერბას სკეპტიკურად დაუწყო ყურება, პატიოსან შრომას ალმაცერად შეხედა, გაიქცა მას ახალ სინამდვილეშიც, მაგრამ თვით ამ სინამდვილემ მკაცრი ლოგიკის ძალით მიიყვანა ჭეშმარიტების შეცნობამდე და გუშინდელი ლასლასა კაცუნა თვალსაჩინულ, კვლავდამბადებულ, ბედნიერების გზაზე დაყენებულ ადამიანად აქცია. ყოველივე ეს, ადამიანის სულის ეს მეტამორფოზა მწერალმა ისე დამაჯერებლად, ცოცხლად და ბუნებრივად გვიჩვენა, რომ „გვადი ბიგვამ“ თანამედროვე ქართულ მხატვრულ პროზაში სწრაფად დაიკავა ერთ-ერთი პირველი ადგილი.

წარმოსახა რა ძველი ადამიანები არჩილ ფორიას სახით, ავტორმა შექმნა ისეთი მიმზიდველი ახალი გმირები, როგორიც არიან პარტიული ორგანიზაციის მდივანი გერა, ქოხ-სამკითხველოს გამგე ელიკო და ნაია სალანდია. რა ოსტატურად დახატა მწერალმა მადალი მოსაზრების მისაღწევად სოციალისტური შეჯიბრება ორ კოლმეურნეობას შორის და რა დიდი მხატვრული სიმარტლე ჩაექსოვა მან ცხოვრების ყოველდღიურ მოვლენებში!

ამ მოვლენ

ნამ ირის განცხადება

საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირზე 1954 წლის 27 აპრილს

„ბატონო თავმჯდომარე!
ბატონო მინისტრებო!

ჟენევის ეს თათბირი, რომელიც განიხილავს კორეის საკითხს, საყოველთაო ყურადღებას იპყრობს. კორეელი ხალხი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამ თათბირს და გამოთქვამს იმედს, რომ იგი ხელს შეუწყობს კორეის საკითხის მშვიდობიან გადაჭრას.

ეჭვი არ არის, რომ კორეის საკითხის მშვიდობიან მოწესრიგებას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო კორეისათვის, არამედ შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის და საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელების საერთო საქმისთვისაც.

კორეის საკითხის გადაჭრაში მთავარი ამოცანაა კორეის ეროვნული გაერთიანება, მშვიდობიანი გზით კორეის ერთიანი, დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა.

ამიტომ კორეელი ხალხი მოელის, რომ ჟენევის თათბირი შეიმუშავებს და მიიღებს ისეთი გადაწყვეტილებებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ იმას, რომ დაზავების შემდეგ მიეაღწიოთ მტკიცე მშვიდობას და კორეის მშვიდობიან გაერთიანებას დემოკრატიულ საწყისებზე.

როგორც ცნობილია, კორეას აქვს სუვერენული დამოუკიდებელი სახელმწიფოს მრავალი საუკუნის ისტორია. იცავდა რა თავის ეროვნულ დამოუკიდებლობას, თავისუფლებისმოყვარე კორეელმა ხალხმა არაერთხელ მოიგერია უცხოეთის აგრესია. კორეის ხალხს ორმოც წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში არ შეუწყვეტია მამაცური ბრძოლა იაპონელი დამპყრობლების წინააღმდეგ, თავისი ეროვნული განთავისუფლებისა და თავისი სახელმწიფოს სუვერენულ უფლებათა აღდგენისათვის.

საყოველთაოდ ცნობილია ისიც ფაქტი, რომ 1945 წელს იაპონიაზე მოპოვებულმა გამარჯვებამ, რაშიც გადამწყვეტი როლი შეასრულა საბჭოთა არმიამ, იაპონიის იმპერიალიზმის კოლონიური უღლისაგან განთავისუფლება მოუტანა კორეელ ხალხს. განთავისუფლების შემდეგ კორეელმა ხალხმა თავის ხელში აიღო ძალაუფლება და შეუდგა ეროვნული დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოს შენებას. კორეის მთელ ტერიტორიაზე თვით მოსახლეობამ შექმნა სახალხო კომიტეტები, რომლებიც დემოკრატიული ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს წარმოადგენდნენ.

მაგრამ სახალხო კომიტეტები ნორმალურად მოქმედებდნენ და ახორციელებდნენ დემოკრატიულ გარდაქმნებს მხოლოდ ჩრდილოეთ კორეაში, სადაც საბჭოთა ჯარები იყვნენ. სამხრეთ კორეაში კი, რომელიც ოკუპირებული ჰქონდათ ამერიკის ჯარებს, სახალხო კომიტეტები ძალით დაშალეს და სამხრეთ კორეის მოსახლეობას წაართვეს ელემენტარული დემოკრატიული უფლებები და თავისუფლება. ამრიგად, თავისი განთავისუფლების პირველი დღეებიდანვე კორეამ ორი სხვადასხვა გზით იწყო განვითარება.

კორეის საკითხის გადაჭრაში დიდმნიშვნელოვანი ეტაპი იყო სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი, რომელიც 1945 წლის დეკემბერში გაიმართა მოსკოვში.

გადაწყვეტილებაში, რომელიც მოსკოვის თათბირმა მიიღო კორეის საკითხზე, აღნიშნული იყო, რომ „კორეის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღდგენის მიზნით, დემოკრატიულ საწყისებზე მისი განვითარების პირობების შესაქმნელად და კორეაში იაპონელთა ხანგრძლივი ბატონობის დამღუპველი შედეგების უსწრაფესი ლიკვიდაციისათვის იქმნება კორეის დროებითი დემოკრატიული მთავრობა, რომელიც ყველა საჭირო ღონისძიებას იხმარს კორეის მრეწველობის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის და კორეელი ხალხის ეროვნული კულტურის განვითარებისათვის“.

მაგრამ მოსკოვის თათბირის შეთანხმება კორეის შესახებ, რომელიც შეესაბამება კორეელი ხალხის ძირეულ ინტერესებს, არ განხორციელდა, რადგან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ უარი თქვა შეესრულებინა თავისი ვალდებულებანი, რომლებიც ამ შეთანხმებიდან გამომდინარეობენ.

იმის ნაცვლად, რომ ხელი შეეწყოთ კორეის დროებითი დემოკრატიული მთავრობის შექმნისათვის, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა აიღეს კორეის გათიშვის კურსი, რისთვისაც სამხრეთ კორეაში 1948 წლის 10 მაისს მოსკოვის შეთანხმების წინააღმდეგ მოაწყეს სეპარატული არჩევნები, რაც პოლიტიკური რეპრესიების პირობებში მიმდინარეობდა. თვით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კორეის დროებითი კომისიაც კი იძულებული იყო ეღიარებინა სამხრეთ კორეის ეგრეთწოდებული არჩევნების ანტიხალხური ხასიათი. ამ კომისიის № 59 ოფიციალურ მოხსენებაში არჩევნების მეთვალყურეობის შედეგების შესახებ აღნიშნული იყო: „...ეს არჩევნები არ შეხებია მთელ კორეას, აგრეთვე არ შეხებია ყველა არსებულ პოლიტიკურ პარტიასა და საზოგადოებრივ ორგანიზაციას ან თუნდაც მათს მეტ ნაწილს. ამიტომ საკმაოდ გასაგებია, რომ ეს არჩევნები არ ჰგავს საყოველთაო...“ შემდეგ მოხსენებაში ნათქვამია, რომ „ზოგიერთ ადგილას საარჩევნო უბნებში პოლიცია იყო“.

კორეის დემოკრატიულმა ძალებმა ყველგან გააჩაღეს ბრძოლა ამ სეპარატული არჩევნების წინააღმდეგ, რამდენადაც იგი იწვევდა კორეის გათიშვას. ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებისა და რწმენის პოლიტიკურმა პარტიებმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა 1948 წლის აპრილში ფხენიანში მოიწვიეს თავიანთი წარმომადგენლების გაერთიანებული თათბირი. ამ თათბირმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ მოიკოტი გამოეცხადოს სამხრეთ კორეის 1948 წლის 10 მაისის სეპარატულ არჩევნებს, და შეიმუშავა კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა მიზანი იყო კორეის მშვიდობიანი გაერთიანების მიღწევა დემოკრატიულ საწყისებზე.

დაეყრდნენ რა საგარეო საქმეთა მინისტრების მოსკოვის თათბირის შეთანხმებას კორეის შესახებ, ჩრდილოეთ კორეის ხალხის მასებმა მოკლე დროში განახორციელეს ძირეული დემოკრატიული გარდაქმნები. განხორციელდა მიწის რეფორმა, რომლის შედეგად 727.522 უმიწაწყლო და მიწამცირე გლეხურმა მეურნეობამ უსასყიდლოდ მიიღო ერთ მილიონ ჰექტარზე მეტი მიწა, რაც ჩამოერთვა იაპონელ მემამულეებს, პროიაპონურ ელემენტებსა და ერის მოღალატეებს.

აგრარული რეფორმის შემდეგ განხორციელდა მსხვილი საწარმოების, ტრანსპორტის, ბანკებისა და კავშირგაბმულობის საშუალებათა ნაციონალიზაცია. დემოკრატიულმა გარდაქმნებმა ხელი შეუწყო ჩრდილოეთ კორეის სახალხო მეურნეობის სწრაფი ტემპით განვითარებას. სახალხო-სამეურნეო გეგმების წარმატებით შესრულების შედეგად უკვე 1947-1948 წელს სამრეწველო წარმოების დონემ გადააჭარბა 1944 წლის დონეს, ხოლო 1950 წელს სამრეწველო წარმოების დონე 1944 წელთან შედარებით 51,4 პროცენტით მაღალი იყო. დიდი წარმატებები მიღწეული იქნა აგრეთვე სოფლის მეურნეობის დარგში. ძირითადი კულტურის — ბრინჯის საერთო მოსავალი 1949 წელს 1944 წელთან შედარებით 148 პროცენტით გადიდდა. ჩრდილოეთ კორეამ, რომელიც წინათ სურსათის მწვავე ნაკლებობას განიცდიდა, მოკლე ვადაში დიდ წარმატებებს მიაღწია სასურსათო პრობლემის გადაჭრაში. ხალხის მასების კეთილდღეობა ჩრდილოეთ კორეაში წლითიწლობით უმჯობესდებოდა, სრულებით მოისპო უმუშევრობა.

დიდ წარმატებებს მიაღწია ჩრდილოეთ კორეამ აგრეთვე კორეელი ხალხის ეროვნული კულტურის განვითარებაში. ჩრდილოეთ კორეის ტერიტორიაზე მის განთავისუფლებამდე არ იყო არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი. მაგრამ, უკვე 1949 წელს შეიქმნა 15 უმაღლესი სასწავლებელი, მათ შორის კიმ ირ სენის სახელობის უნივერსიტეტი. ამ უმაღლეს სასწავლებლებში ათეულ ათასობით ჰაბუკი და ქალიშვილი სწავლობდა.

კორეელი ხალხის განუხრელმა მისწრაფებამ დემოკრატიულ საწყისებზე სამშობლოს მშვიდობიანი გაერთიანებისაკენ თავისი გამოხატულება ჰპოვა 1948 წლის აგვისტოში საყოველთაო არჩევნების მოწყობით, რომელშიც მონაწილეობა მიიღო როგორც ჩრდილოეთ, ისე აგრეთვე სამხრეთ კორეის მოსახლეობამ. ამ არჩევნების შედეგად შეიქმნა უმაღლესი სახალხო კრება, რომელიც კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა, და ჩამოყალიბდა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა.

ამის საწინააღმდეგოდ სამხრეთ კორეაში ამერიკის საოკუპაციო ჯარების მფარველობით პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებაში კვლავ ბატონობდნენ ანტიდემოკრატიული ელემენტები, რომლებიც წარსულში თანამშრომლობდნენ იაპონელ იმპერიალისტებთან. სამხრეთ კორეაში არ განხორციელებულა არავითარი დემოკრატიული გარდაქმნა და მოსახლეობას არ მიუღია ადამიანის ელემენტარული უფლებები და დემოკრატიული თავისუფლებანი. შეკვეცილმა მიწის რეფორმამ, რომელიც სამხრეთ კორეაში განხორციელდა, ვერ შეუმსუბუქა მდგომარეობა გლეხობას. მიწა ამ „რეფორმის“ შემდეგაც მემამულეების ხელში დარჩა, ხოლო გლეხები კვლავ უმიწაწყლობით იტანჯებიან. ოდნავაც არ შეუმსუბუქდათ მდგომარეობა სამხრეთ კორეის მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებსაც სტანჯავთ უმუშევრობა და მრეწველთა სასტიკ ექსპლოატაციას განიცდიან.

კორეის გათიშვის ლიკვიდაციისა და მისი დამოუკიდებლობის მიღწევის მიზნით კორეის სახალხო-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ სამჯერ წამოაყენა წინადადება კორეის მშვიდობიანი გაერთიანების შესახებ.

როგორც ცნობილია, პირველად წინადადება კორეის მშვიდობიანი გაერთიანების შესახებ წამოყენებულ იქნა 1949 წლის 28 ივნისს ერთიანი დემოკრატიული სამამული ფრონტის სახელით. შემდეგ ერთიანი დემოკრატიული სამამული ფრონტის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა მოწოდება, რომელიც აგრეთვე შეიცავდა წინადადებას კორეის მშვიდობიანი გაერთიანების შესახებ.

მესამე წინადადება, რომელიც 1950 წლის 19 ივნისს წამოაყენა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესმა სახალხო კრებამ, ითვალისწინებდა კორეის მშვიდობიანი გაერთიანების განხორციელებას კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრებისა და კორეის რესპუბლიკის ეროვნული კრების სრულიად კორეის ერთიან საკანონმდებლო ორგანოდ გაერთიანების გზით.

მაგრამ სამხრეთ კორეის ხელისუფლებმა უპასუხოდ დატოვეს ჩრდილოეთ კორეის ყველა წინადადება კორეის მშვიდობიანი გაერთიანების შესახებ და ამერიკის შეერთებული შტატების წაქეზებით ცდილობდნენ ძალით მოეხვიათ თავიანთი რეჟიმი ჩრდილოეთ კორეისთვისაც. გარედან ჩარევის შედეგად დაიწყო მძიმე სისხლისმღვრელი ომი, რომელიც 3 წელიწადზე მეტ ხანს გრძელდებოდა და რომელმაც მძიმე განსაცდელი და უბედურება მოუტანა კორეელ ხალხს. მთელი მსოფლიო მოწმე იყო ომის წარმოების ბარბაროსული მეთოდებისა, რომლებსაც ამერიკელი ინტერვენტები იყენებდნენ ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ. მთელი პროგრესული კაცობრიობა სიმპათიას უცხადებდა კორეელ ხალხს, რომელიც ეწეოდა სამართლიან განმათავისუფლებელ ომს. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში გაჩაღდა ფართო მოძრაობა იმისათვის, რომ დახმარებოდნენ კორეელ ხალხს მის ბრძოლაში უცხოეთის ინტერვენციის წინააღმდეგ, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასაც უქმნიდა საფრთხეს. კორეაში წავიდნენ ჩინელ სახალხო მოხალისეთა რაზმები, რომლებიც სიცოცხლის დაუზოგავად ეხმარებოდნენ კორეელ ხალხს მის სამართლიან ბრძოლაში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. დახმარება, რომელიც ჩინელმა სახალხო მოხალისეებმა გაუწიეს კორეელ ხალხს, იყო უმნიშვნელოვანესი პირობა, რომელმაც უზრუნველყო გმირული ბრძოლა უცხოელ შეიარაღებულ ინტერვენტებზე კორეაში. 1953 წლის 27 ივლისის დაზავებამ და კორეაში ომის შეწყვეტამ გახსნა გზა კორეის მშვიდობიანი გაერთიანებისათვის დემოკრატიულ საწყისებზე.

თავისთავად ცხადია, რომ ამ მიზნის მიღწევა შესაძლოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ორივე მხარე მტკიცედ დაიცავს დაზავების შესახებ შეთანხმების პირობებს და იცდება უზრუნველყოს მტკიცე მშვიდობიანი მდგომარეობა კორეაში, მაგრამ სამხრეთ კორეაში კვლავ გაისმის მოწოდებანი — გაანადგეს სამხარი მოქმედება. სამხრეთ კორეის ხელისუფალნი ზრდიან თავიანთ არმიას, ამერიკის შეერთებულ შტატებს კორეაში შეაქვთ დიდძალი საჭურველი, რითაც ირღვევენ შეთანხმებას დაზავების შესახებ. გარდა ამისა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სამხრეთ კორეის მთავრობასთან დადეს ეგრეთწოდებული ხელშეკრულება „ურთიერთ თავდაცვის“ შესახებ, რომელიც ითვალისწინებს ამერიკის ჯარების დატოვებას სამხრეთ კორეის ტერიტორიაზე და სამხედრო ხასიათის სხვა ღონისძიებათა განხორციელებას.

ამასთან დაკავშირებით შეუძლებელია გვერდი ავუაროთ სამხედრო ტყვეების საკითხს.

კორეაში დაზავების შესახებ შეთანხმების შესაბამისად ყველა სამხედრო ტყვე უნდა დაბრუნდეს თავის მშობლიურ მხარეში და მშვიდობიანად იცხოვროს. მიუხედავად ამისა, ჩვენი მხარის 48 ათასი სამხედრო ტყვე უკანონოდ დააკავა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სარდლობამ და ჩარიცხა კორეის რესპუბლიკისა და ჩან კაი-შის არმიებში.

ყოველივე ეს ხელს არ უწყობს კორეის საკითხის მშვიდობიან მოწესრიგებას.

ჩვენი აზრით, ორივე მხარემ უნდა მიიღოს ღონისძიებანი კორეაში ომის განახლების თავიდან აცილებისათვის, აგრეთვე კორეის საკითხის საბოლოო მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის.

დემოკრატიულ საფუძველზე კორეის მშვიდობიანი გაერთიანების მიღწევის უმნიშვნელოვანესი პირობაა უცხოეთის ჯარების გაყვანა კორეიდან, რამდენადაც კორეაში უცხოეთის ჯარების ყოფნა იწვევს უცხოეთის ჩარევას კორეის საშინაო საქმეებში.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციას მიაჩნია, რომ კორეიდან ექვსი თვის ვადაში გაყვანილ უნდა იქნეს უცხოეთის მთელი ჯარები. ჩვენ მოვითხოვთ, რომ მშვიდობიანი გზით კორეის გაერთიანების საქმე მიენდოს თვით კორეელებს, ისე რომ არ მოხდეს არავითარი ჩარევა გარედან. ამასთან ჩვენ მხედველობაში გვაქვს, რომ ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეას შორის მიღწეულ უნდა იქნას შეთანხმება სრულიად კორეის არჩევნების მოწყობის შესახებ მთელი კორეელი ხალხის თავისუფალი მონაწილეობით.

მშვიდობიანი გზით კორეის გაერთიანება უნდა დაგვარგვინდეს სრულიად კორეის ერთიანი დემოკრატიული მთავრობის შექმნით, რომელიც მთელი კორეელი ხალხის წარმომადგენელი იქნება. ასეთი მთავრობა შეიძლება შეიქმნას მხოლოდ სრულიად კორეის არჩევნების მოწყობით კორეელი ხალხის ნების თავისუფალი გამოვლენების პირობებში.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ დემოკრატიული არჩევნების მომზადების და ჩატარების კონკრეტულ ღონისძიებათა განხილვისა და შემუშავებისათვის საჭიროა მოვიწვიოთ ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის წარმომადგენელთა გაერთიანებული თათბირი, რომელმაც, ჩვენი აზრით, უნდა შექმნას სრულიად კორეის კომისია. ამ კომისიამ უნდა განახორციელოს—აგრეთვე გადაუდებელი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის ეკონომიური და კულტურული დაახლოება.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციას თქვენს განსახილველად შემოაქვს კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების შემდეგი წინადადება:

კორეის ეროვნული ერთიანობის აღდგენისა და სრულიად კორეის თავისუფალი არჩევნების მოწყობის შესახებ

კორეის ეროვნული ერთიანობის რაც შეიძლება მალე აღდგენისა და კორეის ერთიანი, დამოუკიდებელი და დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნის მიზნით:

1. რჩევა მიეცეს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და კორეის რესპუბლიკის მთავრობებს:

a) მოაწყონ მთელი კორეის მოსახლეობის ნების თავისუფალი გამოვლინების საფუძველზე არჩევნები სრულიად კორეის ეროვნული კრებისა, რომელიც შექმნის კორეის ერთიან მთავრობას;

b) კორეის ეროვნული კრების თავისუფალი სრულიად კორეის არჩევნების მომზადებისა და მოწყობისათვის და იმ გადაუდებელ ღონისძიებათა განხორციელებისათვის, რომელთა მიზანია ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის ეკონომიური და კულტურული დაახლოება, შექმნან სრულიად კორეის კომისია ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის წარმომადგენლებისაგან, რომლებსაც აირჩევენ შესაბამისად კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრება და კორეის რესპუბლიკის ეროვნული კრება. კომისიაში შეყვანილ უნდა იქნან აგრეთვე შესაბამისად ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის ყველაზე დიდი დემოკრატიული საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები;

c) გაითვალისწინონ, რომ სრულიად კორეის კომისიის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა სრულიად კორეის საარჩევნო კანონის პროექტის მომზადება, რომელიც უზრუნველყოფს არჩევნების ნამდვილ დემოკრატიულ ხასიათს თავისუფლების პირობებში, რომლებიც გამორიცხავენ უცხოეთის ჩარევასა და ადგილობრივ ხელისუფალთა და ტერორისტული ჯგუფების ზეგავლენას ამომრჩეველზე. კომისიამ უნდა მიიღოს აგრეთვე საჭირო ღონისძიებანი, რათა უზრუნველყოს კორეის მოსახლეობისათვის კრებების, პრესის თავისუფლება, საკანონმდებლო ორგანოებში კანდიდატთა დასახელების თავისუფლება კორეის ყველა მოქალაქისათვის, განურჩევლად მათი პოლიტიკური და რელიგიური რწმენისა, სქესისა და ეროვნებისა;

d) კორეის ეკონომიკის აღდგენისათვის ხელშეწყობის, კორეელი ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების, მისი ეროვნული კულტურის შენარჩუნებისა და განვითარების მიზნით, რაც დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია კორეის ეროვნული გაერთიანების განხორციელებისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად, სრულიად კორეის კომისიამ დაუყოვნებლივ განახორციელოს კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკასა და კორეის რესპუბლიკას შორის ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის დამყარებისა და განვითარების ღონისძიებანი: ვაჭრობა, ფინანსური ანგარიშსწორება, ტრანსპორტი, სასაზღვრო ურთიერთობა, მოსახლეობის მიმოსვლისა და მიმოწერის თავისუფლება, კულტურული და მეცნიერული კავშირი და სხვ.

2. საჭიროდ იქნას ცნობილი, რომ მთელი უცხოეთის შეიარაღებული ძალები გაიყვანონ კორეის ტერიტორიიდან ექვსი თვის ვადაში.

3. საჭიროდ იქნას ცნობილი, რომ კორეის მშვიდობიანი განვითარება უზრუნველყოს შესაბამისმა სახელმწიფოებმა, რომლებიც ყველაზე მეტად არიან დაინტერესებულნი შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობის დაცვით, და ამით შექმნან პირობები, რომლებიც ხელს შეუწყობენ იმას, რომ რაც შეიძლება მალე გადაწყდეს ერთიან დამოუკიდებელ დემოკრატიულ სახელმწიფოდ კორეის მშვიდობიანი გაერთიანების ამოცანა.

* * *

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენს წინადადებებში გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელება უზრუნველყოფს კორეის საკითხის მშვიდობიან მოწესრიგებას.

კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგება, ამავე დროს, იქნება წვლილი შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში და ხელს შეუწყობს საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელებას“.

თელავის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის ახალი საცხოვრებელი სახლი ლენინის ქუჩაზე.
ფოტო შ. გოკაძისა.

მშრომელთა ექსკურსიები

თბილისის საექსკურსიო ბაზა 2 მაისს აწყობს მასობრივ ექსკურსიებს მცხეთისა და საგურამოში, ქალაქ გორში, აგრეთვე სამგორში „თბილისის ზღვაზე“. 1 მაისს მოძმე სომხეთის რესპუბლიკის დედაქალაქში ერევანში გაემგზავრება ექსკურსანტების პირველი ნაკადი. ექსკურსანტებს ამ დღეებში მოემსახურება 10-12 კომფორტაბელური ავტობუსი.

ბაზაში შემოსულია ათობით განცხადება მასობრივი ექსკურსიების მოწყობის შესახებ. ექსკურსიებს აწყობენ მასწავლებლის სახლი, რკინიგზის მეორე სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლეები, თბილისის ორჯონიკიძის რაიონის დაწყებითი და საშუალო სკოლების პროფკავშირის მუშაკები, აგრეთვე სოფელ დიდი ლილოს კოლმეურნეობის წევრები, რომლებიც მიდიან საგურამოსა და მცხეთაში. მრავალი ექსკურსანტი გაემგზავრება რკინიგზითაც.

ერთი საწარმოს მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივები

სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის კულტურის სახლის დრამატულმა კოლექტივმა ამის წინათ მაყურებელს უჩვენა ახალი სპექტაკლი — უკრაინელი დრამატურგის ვ. სობკოს „მეორე ფრონტს იქით“. მთავარ როლებს ასრულებდნენ მუშები ჯ. ტისეგინი, ვ. ბურლაევი.

კომბინატის ქორეოგრაფიულ ანსამბლს შესწავლილი აქვს ქართული, რუსული, უკრაინული, აფხაზური და ოსური ხალხური ცეკვები, აგრეთვე ჩეხური, პოლონური და სხვა ხალხური ცეკვები.

მრავალფეროვანია მომღერალთა რუსული თვითმოქმედი კოლექტივის რეპერტუარი. იგი შედგება საბჭოთა კომპოზიტორებისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების კომპოზიტორების სიმღერებისაგან.

მხატვრული თვითმოქმედების საქალაქო და რესპუბლიკური დათვალიერების უცვლელი მონაწილენი არიან კომბინატის მუშები — ესპანური ხალხური სიმღერების შემსრულებელი დ. სუარესი და ლ. ფერნანდესი.

სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის კულტურის სახლის მხატვრული თვითმოქმედების 14 წლიანში გაერთიანებულია 250-ზე მეტი კაცი.

რესპუბლიკური პიროვნობა ფეხბურთში

გრძელდება ზეჯიბრება ფეხბურთში საქართველოს 1954 წლის პირველობაზე. საინტერესოდ მიმდინარეობს შეხვედრები პირველ ჯგუფში, რომელშიც გაერთიანებულია რესპუბლიკის უძლიერესი კოლექტივები.

სამი ტურის შემდეგ წინ არის თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდი, რომელსაც შეგროვებული აქვს 6 ქულა.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

30 აპრილს	დ. თორაძე — გორდა (ვ. ბაბუკიანის მონაწილეობით).
1 მაისს	ზ. ფალიაშვილი — დაისი

(დასაწყისი საღამოს 8 საათზე)

თბილისის სახელმწიფო ცირკი

29, 30 აპრილს და 1, 2 მაისს
სეზონის დახურვა
მოსკოვის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო ცირკის ხუმარას
ქარანდაშის
და ცირკის მსახიობების მთელი შემადგენლობის
უკანასკნელი გამოსათხოვარი გასტროლები
დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.

კვირას, 2 მაისს
დღის ორი საბავშვო წარმოდგენა
დასაწყისი I—12 ს., II—3 ს.
ბილეთები იყიდება სახცირკის სალაროებში და რუსთაველის პროსპ. № 1, 24, პლეხანოვის პროსპ. № 97, ჩელუსკინელების ქ. № 31.
მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე.

რამდენიმე სტრიქონით

პურის მექანიზებული ქარხანა

თელავი. (ხაკ. კორ.). მექანიზებულ იქნა თელავის პურსაცხობი, სადაც მანამდე პურს პრიმიტიული წესით აცხობდნენ. პურის საცხობის რეკონსტრუქციაზე 700.000 მანეთზე მეტი დაიხარჯა. პურის მექანიზებული ქარხანა დღეში 12 ტონა პურს უშვებს. წლის ბოლომდე მისი წარმადობა დღეში 25 ტონამდე გაიზრდება. ინჟინერ-ტექნოლოგის ამხ. თ. ჩხეიძის განცხადებით, ქარხანა გამოუშვებს 15 სახის ნაწარმს.

იზრდება წიგნების ფონდი

ყოველდღე მკითხველებით სავსეა ქალაქ გორის ბიბლიოთეკები. ასობით წიგნი აქვთ წაღებული წასაკითხავად გორელ ფეიქრებსა და მშენებლებს, რკინიგზელებსა და მეკონსერვეებს, სტუდენტებსა და მოსწავლეებს. ყოველწლიურად იზრდება ბიბლიოთეკების წიგნების ფონდი. წელს უკვე მიღებულია 12 ათასი მანეთის მხატვრული და პოლიტიკური ლიტერატურა. წლის ბოლომდე კიდევ მიიღებენ 25.700 მანეთის ლიტერატურას.

საავადმყოფოს ახალი შენობა

ცხინვალი. (ხაკ. კორ.). აქ დაიწყო ასასწორებელი საავადმყოფოს შენობის მშენებლობა. ახალ საავადმყოფოს ექნება 9 კორპუსი — ქირურგიული და თერაპიული, გინეკოლოგიური, ინფექციური, ბავშვთა და სხვ. აშენდება აგრეთვე ორსართულიანი შენობები პოლიკლინიკისა და სამშობიაროს სახლისათვის.

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დანიშნა:

ამხ. ბ. ვ. ლორთქიფანიძე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არქიტექტურის საქმეთა სამმართველოს უფროსად;

ამხ. თ. ა. სხირტლაძე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარედ და გაათავისუფლა იგი საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან;

ამხ. ს. ლ. ქურციკაშვილი საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილედ;

ამხ. შ. კ. მეფარიშვილი საქართველოს სსრ საშინაო მასალების მრეწველობის მინისტრის მოადგილედ კადრების დარგში.

რედაქტორის მოადგილე
რ. ძურციკიძე.

საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირი

ჟენევა, 27 აპრილი. (საკრებულის სპეც. კორ.). დღეს ვ. მ. მოლოტოვის თავმჯდომარეობით გაიმართა საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირის მეორე სხდომა.

მინისტრები შეუდგნენ დღის წესრიგის პირველი პუნქტის — კორეის საკითხის განხილვას.

ასახავენ რა ჟენევის თათბირის წარმატებით დაინტერესებული მშვიდობისმოყვარე საზოგადოებრიობის განწყობილებას, მთელი რიგი გაზეთები კმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ თათბირი თავიდანვე შეუდგა საქმიან მუშაობას და რომ მარცხი განიცადა ცდებმა — ხელი შეეშალათ ამისათვის საპროცედურო და ორგანიზაციულ საკითხებზე დავის წამოწყებით. მაგალითად, „გაზეტა დე ლოზანი“, ეხება რა თავმჯდომარეობის საკითხზე შეთანხმებას, რომელიც მიღწეულ იქნა სსრ კავშირის დელეგაციის ინიციატივის მეოხებით, ახასიათებს ამას როგორც „ჟენევის დიპლომატიური თათბირის კარგ დასაწყისს, მიუხედავად პესიმისტური პროგნოზებისა“.

ჟენევის თათბირის ამოცანა, როგორც იგი განსაზღვრულ იქნა ოთხი მინისტრის ბერლინის თათბირზე, კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგებაა. თათბირმა უნდა გამონახოს დემოკრატიულ საწყისებზე კორეის ერთიანი გაერთიანების გზები. მაგრამ ეს აშკარად არ შეადგენს სამხრეთ კორეის მთავრობისა და მის მფარველთა მისწრაფებას.

როგორც ცნობილია, ჟენევის თათბირის მომზადების პერიოდი აღინიშნა გარკვეული აგრესიული წრეების პროვოკაციული მანევრებით. სეულში აშკარად გაისმოდა და გაისმის მოწოდებანი კორეაში საომარი მოქმედების განახლებისაკენ, ეწევიან ჩრდილოეთისაკენ იალუქიანამდე ლაშქრობის პროპაგანდას. ჟენევის თათბირში თავისი მონაწილეობა სეულის მთავრობამ განაპირობა იმით, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისაგან მიეღო „საზეიმო დაპირება“ სამხრეთ კორეისათვის სამხედრო დახმარების გადიდების შესახებ. ცდილობდა რა ისე დასახა საქმე, რომ ამერიკის შეერთებული შტატები თითქოს არწმუნებდნენ სეულის მთავრობას — გაეგზავნა თავისი წარმომადგენელი ჟენევაში, დალესი ლი სინ მანისადმი 17 მარტის წერილში შეჰპირდა მხარი დაუჭიროს მის პოზიციას, თუ ჟენევის თათბირზე სამი თვის განმავლობაში მიღწეულ არ იქნა წარმატება, რაც შეეხება ლი სინ მანს, მან უტიფრად განაცხადა, რომ მისი მთავრობის წარმომადგენლები ჟენევას მხოლოდ იმისათვის მიემგზავრებიან, რომ „დაამტკიცონ მოლაპარაკების უნაყოფობა“.

მთელმა ამ პროვოკაციულმა ფუსფუსმა, რომელიც წინ უძღოდა ჟენევის თათბირს, ცხადყო, რომ სამხრეთ კორეის რეჟიმის წარმომადგენლნი ჟენევის თათბირზე წავიდნენ ერთადერთი მიზნით — ხელი შეუშალონ იმის შესახებ შეთანხმების მიღწევას, რომ კორეა მშვიდობიანი გზით გაერთიანდეს. ეს თავისი დღევანდელი გამოსვლით დაადასტურა აგრეთვე სამხრეთ კორეის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბიონ ეონ ტემ, რომელმაც პირველმა აიღო სიტყვა კამათში კორეის საკითხზე. სამხრეთ კორეის წარმომადგენელმა თავისი გამოსვლა მიუძღვნა კორეის ამ უკანასკნელი წლების ამბების მიმოხილვას. ეს „მიმოხილვა“, რომელიც დაწერილია ამერიკულ-ლისინმანური პროპაგანდის ყაიდაზე, ნამდვილი ფაქტების აშკარა დამახინჯება იყო. მან სცადა სამხრეთ კორეის მთავრობისა და შეერთებული შტატებისათვის აეცილებინა პასუხისმგებლობა კორეის გათიშვისათვის და ამერიკელთა აგრესიისათვის და გაიმეორა გაცვეთილი ცილისწამება საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და კორეელი ხალხის დემოკრატიული ძალების მიმართ.